პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 271 (5372) | კვირა, 27 ნოემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს მოსპონ ორგანიზაციული კუსტარულობა პარტიული პროპაგანდის საქმეში, დაამყარონ საჭირო ცენტრალიზაცია მის ხელმძღვანელობაში, და იმ გვარად გარდაჰქმნან პარტიული პროპაგანდის ორგანიზაცია, რომ უზრუნველჰყონ მისი ხარისხის, მისი იდეური დონის ამაღლება.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებიდან „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ".

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება შეძენის საქმეა

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" ლახვარი ჩასცა იმ კუსტარულობასა და არაორგანიზებულობას, რასაც ადგილი ჰქონდა პროპაგანდის საქმეში. ცენტრალურმა კომიტეტმა, დაჰგმო რა გამოდევნება პარტიული განათლების წრეებში კომუნისტთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის „ჩაბმისადმი", მთელი სიძლიერით გაუსვა ხაზი ჩვენი კადრების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებელი, ინდივიდუალური შესწავლის მნიშვნელობას. ჩვენ მოწინავე თეორიით უნდა შევაიარაღოთ მილიონობით საბჭოთა ადამიანები, ამ ამოცანის შესრულება კი შეუძლებელია, თუ არ მოვსპობთ სქოლარობას, მავნე გაუბრალოებას, ყოველივე იმას, რაც დაბლა სწევდა პროპაგანდისტული მუშაობის დონეს.

წრეების მასობრივი დანერგვა, წრეებში პარტიის წევრთა იძულებითი ჩაბმა, სხვათა შორის, იმას იწვევდა, რომ პარტიულებს იმის რწმენა ეკარგებოდათ, რომ ისინი შესძლებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის წარმატებით შესწავლას დამოუკიდებელი კითხვის გზით. პარტიულებს დაუწყეს ყურება, როგორც მუდმივ მოწაფეებს, რომელნიც ვალდებული იყვნენ მასწავლებელთა ხელმძღვანელობითა და კონტროლით ევლოთ წრეებში, ეპასუხნათ კითხვებზე და ეკითხნათ „დავალებულის ფარგლებში". ერთგვარი შიშიც კი გაჩნდა თეორიის წინაშე, უფრო რთული, განსაკუთრებით თეორიული თემის წინაშე; ზოგიერთებს რევოლუციური თეორიის დაუფლება თითქმის შეუძლებელ ან აქტივის მხოლოდ მცირერიცხოვანი წრისათვის მისაწვდომ საქმედ მიაჩნდათ. უეჭველია, რომ ამგვარი „შიში" პირდაპირი შედეგია იმ ბიუროკრატიულ - ადმინისტრატიული დამახინჯებებისა, რომლებითაც დაავადებული იყო პროპაგანდისტული მუშაობა.

განმარტავენ რა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან სერიოზული ყურადღება დაუთმონ ამ საკითხს. საჭიროა დავამსხვრიოთ მავნე ცრურწმენა, თითქოს მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა მხოლოდ წრეში შეიძლება, თითქოს რევოლუციური თეორიის დაუფლება კომუნისტთა უმრავლესობას არ ძალუძს. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გადალახონ ასეთი განწყობილებანი, უნდა ჩაუნერგონ ჩვენს კადრებს გემოვნება თეორიისადმი, უნდა განუმტკიცონ რწმენა თავისი ძალებისადმი, ყოველნაირად უნდა დაეხმარონ მათ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებაში.

თუ ჩვენმა კადრებმა ასეთ კოლოსალურ შედეგებს მიაღწიეს ტექნიკის დაუფლებაში, თუ ჩვენ შევძელით შეგვექმნა საკუთარი ინტელიგენცია, რომელიც წარმატებით მუშაობს მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში, მაშინ არავითარი საფუძველი არა გვაქვს დავეჭვდეთ იმაში, რომ ჩვენს კადრებს მარქსისტულ - ლენინური თეორიის დაუფლების უნარი შესწევთ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მოითხოვს რა იმის უნარს, რომ თეორიით ვიხელმძღვანელოთ პრაქტიკული საკითხების გადაჭრისას, მიგვითითებს:

„შეცდომა იქნება ვიფიქროთ, თითქოს თეორიის დაუფლების ამოცანის დაძლევა შეუძლია მუშაკთა მხოლოდ მცირე წრეს. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება შეძენის საქმეა. სწორედ ახლა, სსრ კავშირში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის და სოციალიზმის გამარჯვების დროს, შექმნილია განუსაზღვრელი შესაძლებლობანი იმისათვის, რომ ჩვენი ხელმძღვანელი კადრები წარმატებით ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, შეისწავლონ პარტიის ისტორია, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაშრომები. იმისათვის, რომ დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, უნდა გამოვიჩინოთ მხოლოდ სურვილი, დაჟინება და ხასიათის სიმტკიცე ამ მიზნის მიღწევაში. თუ კი შესაძლებელია წარმატებით დავეუფლოთ ისეთ მეცნიერებებს, როგორიც არის, მაგალითად, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მით უმეტეს არა გვაქვს საფუძველი დავეჭვდეთ, რომ შესაძლებელია სავსებით დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერებას".

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება—შეძენის საქმეა! ცოდნა, რა თქმა უნდა, თავისთავად კი არ მოვა, არამედ შეუპოვარი, ორგანიზებული შრომის შედეგად გაჩნდება. საჭიროა ვისწავლოთ ისე, როგორც სწავლობდა ბოლშევიკთა უფროსი თაობა, როგორც სწავლობდნენ ლენინი და სტალინი. ფანქრით ხელში უნდა ვსწავლობდეთ პირველწყაროებს, ვიწერდეთ წაკითხულს, კვლავ და კვლავ ვუბრუნდებოდეთ საკითხებს, ვმდიდრდებოდეთ ცოდნით, ვაფართოვებდეთ ჩვენს წარმოდგენას საგანზე, ვსწავლობდეთ სინამდვილეს, ვხედავდეთ ახალ ფაქტებს, განვაზოგადებდეთ და ანალიზს ვუკეთებდეთ მოვლენებს. და საკმარისია მხოლოდ დავეწაფოთ მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურს, საკმარისია მხოლოდ ვიგრძნოთ თეორიის გემოვნება, რომ გაჩნდეს დაუძლეველი მისწრაფება ბოლშევიზმის მთელი იდეური სიმდიდრის დაუფლებისაკენ. მაშინ პრაქტიკული საკითხები სწორად გადაიჭრება, მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საფუძველზე, მაშინ კომუნისტის, საბჭოთა ინტელიგენტის პრაქტიკული ნაბიჯები შეუცდომელი იქნება.

რასაკვირველია, თეორიის შესწავლა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკებისაგან მოითხოვს სერიოზულ მუშაობას თავის თავზე. საჭიროა გადაჭრით განვდევნოთ არაორგანიზებულობის, თავაშვებულობის ყოველგვარი გამოხატულება, საჭირო იქნება სწორად დავგეგმოთ ჩვენი დრო და დავაწესოთ კითხვის მტკიცე სისტემა. მთავარი კი ის არის, რომ გამოვიჩინოთ სურვილი, ინტერესი, ბოლშევიკური ნებისყოფა. ხოლო ბოლშევიკური ნებისყოფა—ეს ყველაზე მძლავრი იარაღია, რომლის წინაშეც უკან იხევდა და ახლაც უკან იხევს ყოველგვარი სიძნელე და დაბრკოლება.

მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შესწავლამ უცხოველესი მხარდაჭერა უნდა ჰპოვოს პარტიული ორგანიზაციების მხრივ. ამისათვის ჩვენ ყოველგვარი პირობა მოგვეპოვება. უნდა ავამოქმედოთ ბეჭდვითი პროპაგანდა, მოვაგვაროთ მეთოდური დახმარება, მოვაწყოთ კონსულტაციები, პასუხის გაცემა კითხვებზე და ა. შ. კომუნისტს, რომელიც დამოუკიდებლად სწავლობს თეორიას, ყველა შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს იმისათვის, რომ გაერკვეს ამათუიმ გაუგებარ საკითხებში, რაც კითხვის პროცესში წარმოიშვება. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უწინარეს ყოვლისა საქმის სწორედ ამ მხარეზე უნდა იზრუნონ. ამაზე ძალიან და ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული.

სამწუხაროდ, ასეთი ზრუნვა ჯერ კიდევ როდი ახასიათებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას. თურმე მოიპოვებიან ისეთი ორგანიზაციები, ისეთი ხელმძღვანელები, რომელთა ზრუნვაც პარტიულ პროპაგანდაზე განისაზღვრა საკითხით: „როგორ-ღა გავუწიოთ კონტროლი მკითხველებს?" ასეთ ხელმძღვანელებს ეს აზრი სტანჯავს და აწუხებს. ეს როგორ არის,—მსჯელობენ ისინი,—განა შეიძლება აღურიცხველად და შეუმოწმებლად, ერთიც ვნახოთ, არ წაიკითხეს? ეს ეჭვები უკვე პრაქტიკაშიც ჰპოულობს თავის გამოხატულებას. მაგალითად, ალმა-ატაში საორთქლმავლო დეპოს პარტკომმა გამოიგონა იმ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შემოწმების განსაკუთრებული „ფორმა", რომელნიც დამოუკიდებლად სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას". ქაღალდის დიდი ფურცელი, რომლის სათაურიცაა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" ინდივიდუალური შესწავლის მაჩვენებლები", აკურატულად დახაზულია სვეტებად: ნომერი რიგით, გვარი, თანამდებობა, გამოცდის ჩაბარების დრო და შეფასება თავების მიხედვით. ამავე ქალაქში საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის პარტორგანიზაციაში კომუნისტებს ასეთი „განმარტება" მიეცა: „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის" ინდივიდუალური შესწავლა იმას ნიშნავს, რომ პარტიული განათლების სახლში გამოიძახებენ გამოცდების ჩასაბარებლად. გასაკვირველი არ არის, რომ ასეთი „განმარტების" შემდეგ იმ კომუნისტების ნაწილმა, რომლებმაც დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი განაცხადეს, წრეებში დაბრუნება ითხოვა. ამგვარსავე ფაქტებს იტყობინებიან ყირიმიდან და ზოგიერთი სხვა ადგილიდან.

უეჭველია, რომ აქ თავს იჩენს ძველებურად მუშაობის ინერცია, მისწრაფება — გამოიგონონ იძულებითი სწავლების რაღაც ფორმა. ხალხმა ჯერ ვერც კი მოასწრო წაკითხვა როგორც საჭიროა, მხოლოდ გემოს უღებს თეორიას, უბრუნდება წაკითხულ თავებს, აკეთებს შენიშვნებს საჭირო ლიტერატურის შესახებ, რომ უკვე გამოჩნდნენ ყოველგვარი გამოცდის, შემოწმების და სხვათა მოყვარულნი. ასეთი ფორმალურ-ბიუროკრატიული, კაზიონური მიდგომა პროპაგანდის გარდაქმნისადმი სრულიადაც არ შეუწყობს ხელს ინტერესს თეორიის შესწავლისადმი; ასეთ მიდგომას შეუძლია მხოლოდ შეაფერხოს ცოცხალი და დიადი საქმე. საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა დავაღწიოთ თავი პროპაგანდის ძველი მეთოდების ტყვეობას, ძველს კი არ ჩავებღაუჭოთ, არამედ წინ ვიაროთ.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ განვავითაროთ ინტერესი თეორიის შესწავლისადმი, განვმარტოთ ბოლშევიზმის დაუფლების მთელი მნიშვნელობა, მთელი პოლიტიკური აუცილებლობა, რათა თვით პარტიული ორგანიზაციების ატმოსფერომ აგრძნობინოს კომუნისტებს უდიდესი პასუხისმგებლობა თავისი პოლიტიკური განათლებისათვის, რათა კომუნისტი, რომელიც არ სწავლობს, მწვავე სირცხვილს ჰგრძნობდეს თავისი პოლიტიკური უმეცრებისათვის. აი რით შემოწმდებიან პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, აი სად არის პარტიულ დირექტივათა სწორი გაგების ძირითადი მაჩვენებელი.

ჩვენი კადრების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა, საჭიროა დაჟინებით და შეუპოვრად ვიმუშაოთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის, გაბედულად ჩავწვდეთ საზოგადოებრივი განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონებს, შეუპოვრად ვისწავლოთ ბოლშევიკურ გამარჯვებათა ხელოვნება.

„პრავდის" მოწინავე, 26/XI

რესპუბლიკური ესპანეთიდან საფრანგეთში დაბრუნდნენ ინტერნაციონალური ბრიგადების მებრძოლნი. სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ: ანდრე მარტი, მარსელ კაშენი და მორის ტორეზი პარიზში რკინიგზის სადგურზე ხვდებიან მებრძოლებს. „სოიუზფოტო"

ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება

პარიზი, 24 ნოემბერი (საკდესი). დალადიესა და ბონეს მოლაპარაკება ჩემბერლენთან და ჰალიფაქსთან დღეს დაახლოებით დილის 10 საათზე დაიწყო საგარეო საქმეთა სამინისტროს სადგომში და ორსაათნახევარს გაგრძელდა. მოლაპარაკება დღის მეორე ნახევარშიც სწარმოებდა. საღამოთი მოელიან ოფიციალური კომუნიკეს გამოქვეყნებას მოლაპარაკების შესახებ.

○

პარიზი, 24 ნოემბერი (საკდესი). გუშინ პარიზში ჩამოსულ ინგლისელ მინისტრებს ტრიუმფალური შეხვედრა სრულიადაც არ მოელოდა. მიუხედავად იმისა, რომ ვაგზალთან დიდძალმა პოლიციელმა მოიყარა თავი, ინგლისელ მინისტრებს საკმაოდ ბევრი არასასიამოვნო წუთის განცდა მოუხდათ: პარიზის ქუჩებში მათი გავლისას თავმოყრილ ხალხში მიუნხენის კაპიტულაციის სასტიკი გმობის შეძახილები და სტვენა გაისმოდა. პოლიციამ ამასთან დაკავშირებით დააპატიმრა 15 კაცი — თითქმის ყველანი მუშები.

○

პარიზი, 24 ნოემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ მსჯელობის მთავარ საგანს საფრანგეთისა და ინგლისის მინისტრების შეხვედრის დღეს დილით საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაცია წარმოადგენდა. ბონემ აცნობა იმ დეკლარაციის პროექტის შესამუშავებლად წარმოებულ მოლაპარაკებათა შესახებ, რომელიც ეხება საზღვრების ურთიერთ აღიარებას და საერთო თათბირებს სადაო საკითხებზე. საფრანგეთის მთავრობამ, სხვათა შორის ინგლისის მთავრობა მოლაპარაკების კურსში ჰყავდა. ჩემბერლენმა ინგლისის მთავრობის სახელით აშკარა კმაყოფილება გამოსთქვა მოლაპარაკებათა დამთავრებით, რაც მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს საფრანგეთ - გერმანიის დაახლოების გზაზე. შემდეგ საუბარი შეეხო სამხედრო დარგში საფრანგეთ - ინგლისის თანამშრომლობის საკითხს. ეს საკითხი დასმული იყო დალადიეს მიერ უკვე იმ საუბრის დროს, რომელიც სწარმოებდა გუშინ, საღამოთი, სადილობის დროს საგარეო საქმეთა სამინისტროში. ჰფიქრობენ, რომ ჩემბერლენს საუბარი ჰქონდა ამ საკითხზე გენერალ გამელენთან. მოლაპარაკება 15 საათზე განახლდება.

○○

პარიზი, 24 ნოემბერი (საკდესი). დღეს, საღამოთი, ჩემბერლენთან და ჰალიფაქსთან დალადიესა და ბონეს მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებამ შემდეგი კომუნიკე გამოსცა პრესისათვის:

„ინგლისის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის დარბაზობამ პარიზში შემთხვევა მისცა საფრანგეთის მინისტრებს გაეზიარებინათ ინგლისელი კოლეგებისათვის თავიანთი შეხედულებანი ძირითად საკითხებზე, რომლებიც ორთავე მხარის ინტერესს წარმოადგენენ, როგორც ნაციონალური თავდაცვის, ისე დიპლომატიური მოღვაწეობის საკითხთა ჩარიცხვით. დღევანდელი განხილვიდან ერთხელ კიდევ გამომდინარეობს ორი ქვეყნის შეხედულებათა და პოლიტიკის ორიენტაციის სრული ერთნაირობა, იმ პოლიტიკის, რომელსაც ასულდგმულებს ერთიდაიგივე ზრუნვა მშვიდობიანობის დაცვისა და განმტკიცებისათვის".

მოლაპარაკების შინაარსი

პარიზი, 25 ნოემბერი (საკდესი). სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების ძირითადი პუნქტები იყო: საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაციის საკითხი, საფრანგეთისა და ინგლისის სამხედრო დარგში თანამშრომლობის საკითხი, ესპანეთის საკითხი, ცენტრალური ევროპის მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიის მიმართ ახალ ხელყოფასთან დაკავშირებით, გერმანიიდან ებრაელთა ემიგრაციის პრობლემა, შორეულ - აღმოსავლეთის საქმეები და ინგლისისა და საფრანგეთის ეკონომიური თანამშრომლობის საკითხი.

როგორც გაზეთი „ეპოკი" ამტკიცებს, ჩემბერლენი ჰფიქრობს, რომ საფრანგეთ - გერმანიის დეკლარაციის ხელმოწერის მომენტი და პარიზში რიბენტროპის ჩასვლის მომენტი უხერხულად არის არჩეული.

რაც შეეხება საფრანგეთისა და ინგლისის თანამშრომლობას სამხედრო დარგში, როგორც იუწყებიან, ორივე მხარემ ერთმანეთს წარუდგინა ურთიერთ მოთხოვნები. დალადიე მოითხოვდა, რომ ახლა, მას შემდეგ, რაც მოკავშირე ჩეხოსლოვაკია გაჰქრა, საფრანგეთმა უნდა მიიღოს უფრო სერიოზული დახმარება ინგლისისაგან, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა 1914 წელს. ამ საფუძველზე დალადიე მოითხოვდა, რათა შეიქმნას ინგლისის სახმელეთო ჯარების საექსპედიციო კორპუსი, რომელიც მზად იქნება ყოველ წუთს დაეხმაროს საფრანგეთს. დალადიე აღნიშნავდა, რომ მარტო ინგლისის ავიაციის დახმარება არ იქნება საკმარისი საფრანგეთისათვის. ჩემბერლენი თავის მხრივ თითქოს მოითხოვდა საფრანგეთის ავიაციის გაძლიერებას. საბოლოო ანგარიშით, როგორც „მატენი" ამტკიცებს, „მიღწეულ იქნა გადაწყვეტილება მაქსიმალური სამხედრო თანამშრომლობის შესახებ".

ესპანეთის პრობლემის მიმართ, როგორც ჩანს, მიღებული იყო გადაწყვეტილება თუნდაც დროებით შეინარჩუნონ საქმის ახლანდელი ვითარება.

შორეულ-აღმოსავლეთის მდგომარეობის საკითხზე თითქოს არავითარი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ჩეხოსლოვაკიის პრობლემა განხილულ იქნა უნგრეთისა და პოლონეთის მხრივ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის მიმართ ახალ ხელყოფასთან დაკავშირებით.

ამის გამო პერტინაქსი დღეს „ორდრში" შენიშნავს, რომ „საგანგებო ცნობები იყო მიღებული საფრანგეთისა და ინგლისის პრაღელი და ვარშაველი წარმომადგენლებისაგან.

გასულ კვირას გერმანიამ კვლავ წამოაყენა ჩეხოსლოვაკიის საზღვრების საკითხი და დაიკავა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის ახალი ნაკვეთი, ამასთან ამ ნაკვეთის დაკავება არავითარი მოსაზრებით არ მართლდება და ამით დარღვეულია მიუნხენის შეთანხმება. ამ მაგალითით გამხნევებული პოლონეთი კვლავ ჩაებღაუჭა თავის პროექტს, რაც იმას ჰგულისხმობს, რომ შეიქმნას უნგრეთთან საერთო საზღვარი იმიერკარპატის უკრაინის განაწილების გზით. იმის სამაგიეროდ, რომ გერმანიამ უარი სთქვა დაახლოებით 3 კვირის წინათ ვენაში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე, პოლონეთის მთავრობა ჰპირდება გერმანიას საშუალებას მოგცემ იმიერკარპატის უკრაინის ტერიტორიაზე ააშენო გერმანიიდან რუმინეთისაკენ მიმავალი ავტოსტრადა და ნავთსადენი. პოლონეთი აგრეთვე ჰპირდება გააძევოს დანციგიდან ერთა ლიგის უმაღლესი კომისარი.

ამასთან დაკავშირებით, დალადიემ, ბონემ, ჩემბერლენმა და ჰალიფაქსმა გადასწყვიტეს ერთნაირი ინსტრუქციები მისცენ საფრანგეთისა და ინგლისის ელჩებს ვარშავაში. ამგვარად, პოლონეთს მიმართავენ სათანადო წარდგინებით".



ესპანეთის რესპუბლიკური არმიის გუშაგი მდინარე ებროს ნაპირზე „სოიუზფოტო"

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებულ ცნობათა მიხედვით)

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ცნობებში ნათქვამია, რომ 24 ნოემბერს არცერთ ფრონტზე არავითარი მნიშვნელოვანი სამხედრო მოქმედება არ მომხდარა.

⊙

ესპანის სააგენტოს ცნობით, ბარსელონამ ამ უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში განიცადა იტალია-გერმანიის ავიაციის 11 თავდასხმა. ფაშისტების თვითმფრინავთა მიერ ქალაქის ბომბარდირების შედეგად მოკლულია 48 და დაჭრილია 134 კაცი. დაჭრილთა უმეტესობა მძიმე მდგომარეობაშია. მსხვერპლთა შორის ბევრია მზატანისამოსის მაღაზიების მუშა-ქალიშვილები. ყუმბარებით დანგრეულია საცხოვრებელი სახლები და ლტოლვილთა საერთო-საცხოვრებელი.

ჰავასის სააგენტოს ცნობა

პარიზი, 25 ნოემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს მთავრობის შემდეგს ცნობას: „ნორის, სენისა და ქვემო სენის დეპარტამენტებში ხდება გაფიცვები, რომლებსაც თან სდევს მუშების მიერ ქარხნების დაკავება. ნორის დეპარტამენტში გაფიცვა მოიცო 25 ქარხანას, რომელთა მუშების საერთო რაოდენობა 12 ათას კაცს უდრის, ხოლო სენის დეპარტამენტში — 10 ქარხანას, რომელთა მუშების რაოდენობაც 5 ათას კაცს უდრის. ქვემო სენის დეპარტამენტში გაფიცულია 19 საწარმოს მუშები. პოლიციამ ყველა ეს ქარხანა გასწმინდა მუშებისაგან. გრძელდება იმ მუშების განდევნა, რომლებმაც დაიკავეს რენოს ქარხნები".

გარდა ამისა, საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტრო იუწყება, რომ ანზენის რაიონში, ბელგიის საზღვრის მახლობლად, რკინიგზელთა, მელითონეთა და სამთამადნო მუშათა გაფიცვის გამო ფაქტიურად შეწყვეტილია მაღაროების ექსპლოატაცია. მინისტრმა ხელი მოაწერა დეკრეტს იმის შესახებ, რომ, შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მთავრობა თვითონ კისრულობს მაღაროების მართვას. ამის პასუხად ანზენის სამთამადნო მუშებმა ხვალისათვის საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს.

სააგენტო შემდეგ იუწყება, რომ ქალაქ დენენის რაიონში (ანზენის მახლობლად) მომხდარ მრავალ ინციდენტთან და იქ შექმნილ დაძაბულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაიონის პოლიციის უფროსს შეხვედრა ჰქონდა დეპუტატ დევეზთან, მელითონეთა პროფკავშირის წარმომადგენლებთან და ქალაქის მერთან. გადაწყდა, რომ მოტორიზებული პოლიცია გაწვეული იქნება ქალაქიდან იმ პირობით, თუ გაფიცული მუშები, რომლებმაც საწარმოები დაიკავეს, ნებაყოფლობით დასტოვებენ მათ, ჟანდარმერიის წასვლის შემდეგ 3,500 კაცისაგან შემდგარმა მასამ მთელი ქალაქი გაიარა და მერიისაკენ გაემართა.

ბიანკურში (პარიზის გარეუბანი) პოლიციის 20-ათასიანმა რაზმმა განდევნა მუშები რენოს ქარხნებიდან. შეტაკების დროს დაიჭრა რამდენიმე კაცი, მათ შორის დაახლოებით 10 პოლიციელი. დაახლოებით საღამოს 10 საათზე 2 ათასმა მუშამ კვლავ დაიკავა რამდენიმე საამქრო. დაპატიმრებულია 200 მუშა. დაახლოებით 100 გაფიცულმა დაიკავა ბლერიოს და პიუტოს ქარხნები.

პარიზის რაიონის მელითონეთა პროფკავშირმა მუშებს მიმართა მოწოდებით — ნაადრევად არ გააფართოვონ მოძრაობა და დაუცადონ შრომის საყოველთაო კონფედერაციის გადაწყვეტილებას.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ნოტა ინგლისისადმი

ლონდონი, 25 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ ჩეხოსლოვაკიის ელჩმა ლონდონში მასარიკმა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ახლა ჩეხოსლოვაკიის საზღვრები უკვე დადგენილია. სააგენტოს სიტყვით, ნოტაში არის იმის პირდაპირი მოთხოვნა, რომ ჩეხოსლოვაკიის ახალი საზღვრების დაპირებული გარანტიების საკითხი დაუყოვნებლივ იქნას გადაჭრილი. მაგრამ ამ ნოტის ჩაბარების თვით ფაქტი ჰგულისხმობს, რომ დადგა მომენტი, როცა ინგლისმა უნდა შეასრულოს დაპირებანი ჩეხოსლოვაკიის საზღვრების გარანტიების შესახებ.

საბჭოთა კავშირის გმირების ამხ. გრიზოდუბოვას, ოსიპენკოსა და რასკოვას გადაფრენა საერთაშორისო რეკორდად არის აღიარებული

სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო-სასპორტო კომისიამ საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის პრეზიდიუმისაგან მიიღო ოფიციალური ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის გმირების ვალენტინა გრიზოდუბოვას, პოლინა ოსიპენკოსა და მარინა რასკოვას ძირდაუშვებელი გადაფრენა დამტკიცებულია, როგორც პირდაპირი ხაზით შორს ფრენის საერთაშორისო ქალთა რეკორდი (კლასი „ს").

როგორც ცნობილია, ეს გმირული გადაფრენა შესრულებული იყო სამხედრო ორმოტორიან თვითმფრინავ „როდინათი" მარშრუტით მოსკოვი — შორეული აღმოსავლეთი (მდინარე ამგუნის რაიონი) ა. წ. 24-25 სექტემბერს.

სამმა მამაცმა საბჭოთა გმირმა ქალმა მოახდინა გადაფრენა ძირდაუშვებლად პირდაპირი ხაზით და განვლო 5.908 კილომეტრი და 610 მეტრი.

(საკდესი).

საბჭოთა ავიამოდელისტის საერთაშორისო რეკორდი

საკ. ალკკ 20 წლისთავის სახელობის მფრინავი მოდელების მე-12 საკავშირო შეჯიბრებაში ერთერთი პირველი ადგილი დაიკავა სიმფეროპოლის ავიამოდელისტმა ალექსანდრე ბონდარენკომ. ამხ. ბონდარენკოს კონსტრუქციის თვითმფრინავების მოდელმა (რეზინის მოტორით) 50 მეტრ მანძილზე განავითარა 69,12 კილომეტრი საშუალო სისწრაფე საათში. მასალები მოდელის ამ შესანიშნავი გაფრენის შესახებ გაიგზავნა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის პრეზიდიუმში.

ამ დღეებში სსრ კავშირის ცენტრალურმა აეროკლუბმა „ფაი"-საგან მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ა. ბონდარენკოს მოდელის გაფრენა ცნობილია სისწრაფეზე გაფრენის საერთაშორისო რეკორდად მფრინავი მოდელების პირველი კლასით.

მიტინგი ლენინგრადის საარტილერიო-ტექნიკურ სასწავლებელში

ლენინგრადი, 25 ნოემბერი (საკდესი). ლენინგრადის საარტილერიო - ტექნიკური სასწავლებლის კურსანტები, მეთაურები, პოლიტმუშაკები და მასწავლებლები დიდი აღფრთოვანებით შეეგებნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას სასწავლებლის „წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.

დღეს სასწავლებელში შესდგა მიტინგი.

შეკრებილებმა მიიღეს მისალმებანი ხალხთა ბელად ამხანაგ სტალინისადმი, თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. ვოროშილოვისადმი.

კომკავშირულ ორგანიზაციათა მდივნების, ახალგაზრდა სტახანოველებისა და სპეციალისტების თათბირი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, 25 ნოემბერს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სხდომათა დარბაზში შესდგა საწარმოო პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების, ახალგაზრდა სტახანოველებისა და სპეციალისტების თათბირი ქ. თბილისის საწარმოთა დირექტორებთან და სახალხო კომისარიატთა წარმომადგენლებთან ერთად. თათბირი მიძღვნილი იყო ხარკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხნის ახალგაზრდა სტახანოველთა და სპეციალისტთა მიმართვის განხილვისადმი.

საკ. ალკკ 20 წლისთავის სახელობის შეჯიბრების წარმატებათა განმტკიცებისა და ხარკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ახალგაზრდა სტახანოველთა და სპეციალისტთა მიმართვის განხილვის მსვლელობის შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანი ამხ. ნეხოროშევი, ლითონის კონსტრუქციათა ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანი ამხ. გასპაროვი და თბილისის დეპოს კომკავშირული კომიტეტის მდივანი ამხ. გოგლიძე. მოსმენილ იქნა აგრეთვე კამოს სახელობის ქარხნის დირექტორის ამხ. ივანიშვილისა და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორის ამხ. გეგუჩაძის მოხსენებანი იმის შესახებ, თუ რა დახმარებას უწევს კომკავშირულ ორგანიზაციებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში და საკ. ალკკ 20 წლისთავისათვის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანების შესრულებაში.

თათბირზე კამათში გამოვიდა 13 კაცი.

სიმაღლეზე ფრენის საკავშირო რეკორდი

12 ოქტომბერს ვორონეჟის აეროკლუბის უფროსმა ვ. ლ. გლებოვმა ბორტმექანიკოს ს. ს. ბუზუნოვთან ერთად მოახდინა სარეკორდო აფრენა თვითმფრინავ „სამ-2-ბის"-ით, რომელიც კონსტრუირებული იყო ინჟინერ ა. ს. მოსკალიოვის მიერ. ამხ. გლებოვმა მიაღწია 6.251,5 მეტრ სიმაღლეს.

სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო - სასპორტო კომისიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ეს აფრენა როგორც სიმაღლეზე ფრენის საკავშირო რეკორდი პირველი კატეგორიის მსუბუქი მრავალადგილიანი თვითმფრინავების კლასით.

მასალები ამხ. გლებოვის სიმაღლეზე აფრენის შესახებ იგზავნება საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის პრეზიდიუმში, რათა აფრენა დადასტურებულ იქნას, როგორც საერთაშორისო რეკორდი.

მტკიცედ დავიცვათ საკასო დისციპლინა

საკასო გეგმა ბანკის საკრედიტო და სახალხო-სამეურნეო გეგმის ერთერთი მთავარი ნაწილია.

დღიური საკასო გეგმა საშუალებას იძლევა აღებულ იქნას აღრიცხვაზე საკრედიტო დაწესებულებებში შემოსული ნაღდი შემოსავალი და მას თავი მოეყაროს სახელმწიფო ბანკში. თავის მხრივ ბანკი შემოსული თანხების მიხედვით აწესრიგებს ფულის მიმოქცევას და ახდენს მის გადაჯგუფ-გადმოჯგუფებას უპირველეს ყოვლისა სახალხო მეურნეობის დიდმნიშვნელოვან მიმართულებით. ხალხის საზიზღარმა მტრებმა, რომლებიც დიდხანს იდგნენ სახელმწიფო ბანკის სათავეში, 1936 წელს გააუქმეს ბანკის მუშაობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი — საკასო გეგმა. რა თქმა უნდა, ბანკის მუშაობის ასეთი მნიშვნელოვანი ნაწილის გაუქმება ხალხის მტრების მიერ მავნებლური დარტყმა იყო ფულადი ბრუნვის რეგულარობისათვის.

პარტიამ და მთავრობამ სახბანკს მოაშორეს ეს საზიზღარი მავნებლები და გააუქმეს მათ მიერ შემოღებული მუშაობის „მეთოდები". 1937 წლის მეოთხე კვარტალიდან ისევ აღდგენილ იქნა საკასო გეგმიანობა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 25 იანვრის დადგენილების თანახმად ფულის დროულად შეტანის პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების ხელმძღვანელს. ზოგიერთ დაწესებულებათა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელნი უხეშად არღვევენ ამ დადგენილებას.

1938 წლის 2 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე სახბანკის თბილისის საქალაქო განყოფილებამ ჩაატარა საკასო დისციპლინის შესრულების გამოკვლევა 614 ორგანიზაციაში. გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ მათ შორის 321 ორგანიზაციამ დაარღვია საკასო დისციპლინა. ნავაჭრი მათ ბანკში არ შეჰქონდათ და ხარჯავდნენ მისი სანქციის გარეშე. ამის გამო 109 ოქმი გადაეცა რაიონის პროკურორებს, რათა დამნაშავენი მიცემული ყოფილიყვნენ პასუხისგებაში, როგორც საკასო დისციპლინის ბოროტი დამრღვევნი.

სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე ორგანიზაციას:

არტელ „გუჟტრანსპორტს" უკანონოდ დახარჯული აქვს —349.471 მან., სარეწაო კომბინატს—167.031 მან., „საქსაზკვებს"—148.934 მან., მთავარ საკურორტო სამმართველოს —67.605 მან., ტრამვაისა და ტროლეიბუსის ტრესტს—164.000 მან.

ზემოაღნიშნული 109 საქმიდან დღევანდლამდის გარჩეულია მხოლოდ 15, დანარჩენი საქმეები კი შეჩერებულია.

მიუხედავად სსრკ პროკურორის ამხ. ვიშინსკის განმარტებისა, რომ საკასო დისციპლინის დარღვევის საქმე განხილულ უნდა იქნას 15 დღის განმავლობაში, საქმეები წლობით არის შეჩერებული. ზოგჯერ 1936 წელს გადაცემული საქმეები ირჩევა 1938 წელს. მაგალითად, არსებობდა არტელი „ავტო". მას თვითნებურად ჰქონდა დახარჯული 8.900 მანეთი. საქმე გადაეცა ლენრაიონის პროკურორს 1936 წელს, მაგრამ სასამართლომ მხოლოდ 1938 წლის 22 სექტემბერს გაარჩია. ამ დროს არტელი უკვე ლიკვიდირებული აღმოჩნდა.

ბევრი საქმე პროკურატურას აქვს გადაცემული, მაგრამ მათი გარჩევა დანაშაულებრივად ჭიანურდება. ორგანიზაციათა ხელმძღვანელნი, ამით წაქეზებულნი, განაგრძობენ საკასო დისციპლინის დარღვევას.

ს. სტეფანიანი

სახბანკის თბილისის საქალაქო განყოფილების ფულადი ბრუნვის სექტორის დირექტორის მოადგილე

მანდარინის მასობრივი კრეფა

(აჭარა, საქ. კორესპონდენტისაგან)

„აჭარციტრუსხილტრესტის" ჩაქვის პავილიონმა, რომელმაც წელს 26.362.250 ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი უნდა მიიღოს და გადაამუშაოს, მანდარინის მოსავლის მიღება 15 ნოემბრიდან დაიწყო. პავილიონმა დროულად შეაგროვა მუშა-ხელი და წესრიგში მოიყვანა მანქანები და ინვენტარი.

პავილიონმა უკვე გადაამუშავა და დანიშნულებისამებრ გადაგზავნა 13 ვაგონი მანდარინის ნაყოფი.

ჩაქვისა და ხალის სოფლსაბჭოების კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს მანდარინის მასობრივი კრეფა. ბრიგადებსა და ცალკეულ მკრეფავებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება მანდარინის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. ჩაქვის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას 20 ნოემბრისათვის მოკრეფილი და ქარხნისათვის ჩაბარებული ჰქონდა 157.972 ცალი მანდარინის ნაყოფი. სოფ. ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას — 127.250, სტურუას სახელობის კოლმეურნეობას— 85.750, კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერს" — 98.000 ცალი, სოფ. ხალის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას კი — 28.315 ცალი.

კოლმეურნეობები გეგმების რაოდენობრივ შესრულებასთან ერთად მთავარ ყურადღებას აქცევენ მანდარინის კრეფის ხარისხს. ამ მიზნით ადგილებზე ფართოდ არის გამოყენებული მოწინავე მკრეფავების გამოცდილება. სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში მოწინავე მკრეფავებიდან აღსანიშნავი არიან კოლმეურნე ქალები — ფ. ბროლაძე, ა. ღოლიძე, ს. კაკაბაძე და ა. ბერიძე, რომლებიც ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვით მანდარინის კრეფის დღიურ ნორმებს ერთი-ორად, ერთი-სამად ასრულებენ.

თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებიდან მანდარინის უხვი მოსავლის მიღებით თავი ისახელეს ჩაქვის სოფლსაბჭოს მთელმა რიგმა კოლმეურნეებმა. კოლმეურნე ა. დუმბაძეს 20 ნოემბრისათვის მოკრეფილი და მიმღები პუნქტისათვის ჩაბარებული ჰქონდა 15.750 ცალი მანდარინი, მ. ბერიძეს—15.155, ხ. მუს-ოღლის — 15.313.

ქ. დოგორჯგინიძე.

აბარებენ პირველი ხარისხის შაქრის ჭარხალს

გორი, 26 ნოემბერი (საკ. კორ.). გორის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები სახელმწიფოს აბარებენ პირველი ხარისხის შაქრის ჭარხალს.

გორის შაქრის ჭარხლის მიმღებ პუნქტს გეგმის ზევით და საუკეთესო ხარისხის ჭარხალი ჩააბარეს სოფელ დიდი-ოხერას (675 ცენტნერის ნაცვლად ჩააბარა 1.060 ცენტნერი), ხიდისთავის (637 ცენტნერი), პატარა-ოხერას (374 ცენტნერი), წედისის და სხვა კოლმეურნეობებმა.

შაქრის ჭარხლის მოყვანის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და მაღალხარისხოვანი შაქრის ჭარხლის ჩაბარებისათვის აღნიშნულ კოლმეურნეობებზე გაცემულია პრემია - დანამატი 4.500 მანეთის რაოდენობით.

ხ. ყურაშვილი

სწორი თესლბრუნვისათვის

საკავშირო კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე ხალხთა საყვარელი ბელადი ამხანაგი **სტალინი** ამბობდა: „სოფლის მეურნეობის ერთერთ მორიგ ამოცანას წარმოადგენს სწორ თესლბრუნვათა შემოღება, წმინდა ანეულის გაფართოება, სათესლე საქმის გაუმჯობესება მიწათმოქმედების ყველა დარგში. რა კეთდება ამ მხრივ? სამწუხაროდ, ჯერჯერობით ძალიან ცოტა რამ". ამხანაგ სტალინის ეს შეფასება სავსებით გამოხატავს საქართველოში თესლბრუნვის საქმეში ამჟამად არსებულ მდგომარეობას. საქართველოს მიწათმოქმედების ორგანოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ იმისათვის, რათა დროულად უზრუნველჰყონ სწორი თესლბრუნვის შემოღება კოლმეურნეობებში.

ამხანაგ **ლ. ბერიას** მითითება 1940 წლისათვის მარცვლეულ კულტურათა საერთო ფართობის 900 ათას ჰექტარამდე აყვანის, ჰექტარზე საშუალოდ რესპუბლიკაში 15 ცენტნერი მოსავლის მიღებისა და საქართველოს მოთხოვნილების თავისი საკუთარი პურით დაკმაყოფილების შესახებ მოითხოვს სერიოზულ მუშაობას. ამის მისაღწევად მთელი რიგი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორი თესლბრუნვის შემოღებას და დანერგვას.

სწორი თესლბრუნვის შემოღების დროს აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას მეურნეობის მიმართულება, მესაქონლეობის განვითარებისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, საგეგმო დავალებანი კულტურების მიხედვით, მექანიზაციის საკითხები და სხვ. თესლბრუნვა ისე უნდა მოეწყოს, რომ მან არ გამოიწვიოს მარცვლეული კულტურების ფართობების შემცირება.

უნდა ითქვას, რომ თესლბრუნვის საკითხებს საქართველოს მთელი რიგი რაიონები და კერძოდ მიწსახკომი საკმაო ყურადღებას არ აქცევენ. მართალია, საქართველოს მიწსახკომის მიწათმოწყობის სამმართველოსთან შარშან ჩამოყალიბდა თესლბრუნვის ჯგუფი, მაგრამ ეს უკანასკნელი მთელი წლის განმავლობაში არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა. თესლბრუნვის ჯგუფს არ ჰქონდა მუშაობის კონკრეტული გეგმები, რაიონებს არ ეწეოდა გარკვეული ინსტრუქტაჟი, თანხები უშედეგოდ იხარჯებოდა, საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (ზუგდიდი, ასპინძა, ამბროლაური, ონი, ახალციხე, ჩხარი, ხარაგოული, ცხაკაია, გეგეჭკორი და სხვ.) ზერელედ და ფორმალურად დამუშავდა სსრ კავშირის მიწსახკომის და სსრ კავშირის მარცვლეულის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის კომისიის მიერ შემუშავებული სწორი თესლბრუნვის პროექტი.

ამ მხრივ მდგომარეობა არც 1938 წელს გამოსწორებულა. ამას ისიც მოწმობს, რომ საქმიწსახკომის მიწათმოწყობის სამმართველოს თესლბრუნვის ჯგუფისათვის ჯერაც გაურკვეველია, თუ რამდენ რაიონში და რომელ კოლმეურნეობებში უნდა ჩატარდეს წელს თესლბრუნვა. პირველი პროექტით გათვალისწინებული იყო წელს თესლბრუნვის სამ რაიონში გატარება, მეორე პროექტით აღებული იქნა 18 რაიონი, მესამე პროექტით—14 რაიონი. უკანასკნელი პროექტით კი გათვალისწინებულია თესლბრუნვის გატარება 11 რაიონში და ისიც გამოურკვეველია, თუ სამისოდ რა პირობები არსებობს. სწორი თესლბრუნვის ჩატარებისათვის მიწათმოწყობის სამმართველოს დაზუსტებული არა აქვს ცალკეულ რაიონებისა და კოლმეურნეობებში რამდენი ჰექტარი უნდა მოჰყვეს თესლბრუნვაში და თესლბრუნვის შემოღებასთან დაკავშირებით მიწის რა ახალი ფართობი იქნება ათვისებული. მეთესლეობის 20 კოლმეურნეობაში მიწათმოწყობა და ნიადაგის შესწავლა ძალიან ჭიანურდება.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ თესლბრუნვის პროექტებში, რომლებიც საქ. მიწსახკომის მიწათმოწყობის სამმართველოს მიერ არის შედგენილი, დაშვებულია ზოგიერთი შეცდომა.

პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებები ითვალისწინებს საქართველოში მარცვლეულ კულტურათა ფართობის გადიდებას. თესლბრუნვის პროექტები კი, პირიქით, ითვალისწინებს მის შემცირებას, მაშინ, როცა მარცვლეული კულტურების ხვედრითი წონა უმრავლეს რაიონებში 75-95 პროცენტამდე აღწევს, თესლბრუნვის პროექტებში ნაჩვენებია 65-80 პროცენტი.

ამ პროექტების მიხედვით კერძოდ ხაშურის, გორის, ბორჩალოს, სიღნაღის, ქუთაისის, სამტრედიის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის და სხვა რაიონებში მარცვლეული კულტურების ფართობი მცირდება 10-15 პროცენტით და კიდევ მეტით.

თესლბრუნვის პროექტები და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხები უფრო გულისხმიერად, ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობების სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით უნდა დამუშავდეს.

შედგენილ პროექტში გათვალისწინებულია მრავალმინდვრიანი თესლბრუნვები, სადაც 2-3 მინდორი [illegible] მრავალწლიან ბალახებს - (იონჯა, სამყურა, ესპარცეტი), მაგრამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრის დროს საჭირო იქნება მეტი სიზუსტე და ცალკეულ რაიონებისა და კოლმეურნეობებისადმი დიფერენცირებული მიდგომა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისეთ რაიონებში, როგორიცაა, მაგალითად, ლაგოდეხი, გორი, ზუგდიდი, ცხაკაია, ჩხოროწყუ, წალენჯიხა და სხვ., მრავალწლიანი ბალახებისათვის ხელაღებით 2-3 მინდვრის დათმობა გამოიწვევს მარცვლეული კულტურების შემცირებას. თესლბრუნვის ეგრეთწოდებული სარაიონთაშორისო პროექტების შედგენა უარყოფილ უნდა იქნას. თესლბრუნვის პროექტი, როგორც ზემოთ ვწერდით, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს თვითეული უბნის სპეციფიკურ პირობებს. მაგალითად: წალკის რაიონისათვის საორიენტაციოდ შესაძლებელია მივიღოთ შემდეგი სახის თესლბრუნვა: 1) შავი ანეული, 2) გაზაფხულის თავთავიანები, 3) გაზაფხულის ან შემოდგომის თავთავიანები ბალახის შეთესვით, 4) მრავალწლიანი ბალახი, 5) მრავალწლიანი ბალახი, 6) გაზაფხულის თავთავიანები, 7) გაზაფხულის თავთავიანები, 8) სათოხნი კულტურები, 9) გაზაფხულის თავთავიანები, 10) გაზაფხულის ან შემოდგომის თავთავიანები. ამავე დროს შეიძლება (საორიენტაციოდ) დაპროექტდეს ხუთმინდვრიანი თესლბრუნვა: 1) ანეული ნაწილობრივ გამოყენებული, 2) გაზაფხულის თავთავიანები, 3) გაზაფხულის თავთავიანები, 4) ერთწლიანი ბალახი, 5) გაზაფხულის ან შემოდგომის თავთავიანები. ასეთ შემთხვევებში შესაძლებელი იქნება მარცვლეულის ხვედრითი წონის შენარჩუნება და პირუტყვის საკვები მარაგით უზრუნველყოფა.

სულ სხვაგვარი უნდა იყოს თესლბრუნვის პროექტები დასავლეთ საქართველოს რაიონებისათვის. მაგალითად, ხობის რაიონში შეიძლება საორიენტაციოდ დავსახოთ შემდეგი სახის თესლბრუნვა: 1) სიმინდი ლობიოთი პლუს მწვანე სასუქი, 2) სიმინდი სოიათი პლუს ცერცველა თივად, 3) სიმინდი ლობიოთი პლუს სიდერატები, 4) ერთწლიანი ბალახი პლუს ნაწილზე სიმინდი, გერანი და სხვ., 5) სიმინდი პლუს სიდერატები, 6) სიმინდი პლუს ცერცველა თივად ან სათესლედ.

შეიძლება აღებული იქნას 4-5 მინდვრიანი თესლბრუნვაც, სადაც არ შემცირდება მარცვლეული კულტურების ნათესები, მაგრამ ეს შეფარდებულ უნდა იქნას თვითეული რაიონისა და კოლმეურნეობის პირობებთან. მაგალითად, თუ წალკის ან ხობის რაიონისათვის საკმარისია 2-3 სახის თესლბრუნვა, თბილისის რაიონისათვის საჭირო იქნება ავიღოთ 6-7 სახის თესლბრუნვები, ვინაიდან ამ რაიონში დიდი სხვადასხვაობაა. მაგალითად, კოჯრის ზონისათვის შესაძლებელია მივიღოთ 6-მინდვრიანი თესლბრუნვა, მაგრამ კუმისის ზონისათვის შესაძლებელია დაპროექტდეს 9-მინდვრიანი. სულ სხვა სახის თესლბრუნვის გატარება იქნება საჭირო ამავე რაიონის ნიჩბისის ურწყავი ზონისათვის და სხვ.

საქართველოს ცალკეულ რაიონებსა და კოლმეურნეობებში შესაძლებელია გამოყენებული იქნას თესლბრუნვის გარდამავალი სახეობა (ცალკეულ აგროტექნიკურ ღონისძიებათა რამდენიმე წლით გატარება), მაგალითად, წულუკიძის, ზესტაფონის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონებში შეიძლება თესლბრუნვით დავუშვათ ერთწლიანი ბალახების თესვა, აგრეთვე შემოვიღოთ თესლბრუნვის ცალკეული ნაკვეთების მოშლამვა, მოტკილვა, სიდერატებით განოყიერება და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონშიც თესლბრუნვაში უნდა შევიდეს ერთწლიანი ბალახებისა და სიდერატების თესვა.

მიწსახკომის მიწათმოწყობის სამმართველო ისევ ერთ ადგილს სტკეპნის. საკმარისია ითქვას, რომ 1938 წლის განმავლობაში მიწათმოწყობის სამმართველომ რაიონებს თესლბრუნვის შესახებ მხოლოდმხოლოდ ერთი ინსტრუქცია გაუგზავნა და ისიც არა სწორი, რომელიც მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა გააუქმა.

საჭიროა ბოლო მოეღოს თესლბრუნვის ამ მეტად აქტუალურ საკითხებისადმი საქმოსნურ დამოკიდებულებას. სწორი თესლბრუნვის შემოღება და გატარება ეს მთელი ჩვენი ქვეყნის საქმეა, ამიტომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციებისა და პირველ რიგში სამიწათმოქმედო ორგანოების ვალია სერიოზულად მოჰკიდონ ხელი სწორი თესლბრუნვის შემოღების საქმეს. ნუ დავივიწყებთ, რომ თესლბრუნვა მოსავლიანობის გადიდების ერთერთი მძლავრი ბერკეტია.

შ. კაკულია

საქ. მიწსახკომის მიწათმოწყობის სამმართველოს თესლბრუნვის ჯგუფის უფროსი აგრონომი.

უმსგავსოებანი ორჯონიკიძის რაიონის კოოპერატივებში

(ხარაგოული, ჩვენი კორესპონდენტებისაგან)

ორჯონიკიძის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის „მესვეურთა" ცუდი მუშაობის შედეგად რაიკოოპკავშირის სავაჭრო ქსელში ადგილი აქვს მთელ რიგ აღმაშფოთებელ ფაქტებს. ლაშის სასოფლო-კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ მიავლინეს ყოფილი გამფლანგველი საშა მუშვენიერაძე. მან კოოპერატივის მუშაობაში არევდარევა შეიტანა და მოკლე დროში 1.080 მანეთი გაფლანგა. სოფელ საღანძილის მაღაზიის ნოქრად მუშაობს ყოფილი ვაჭარი იაკინთე ბერაძე. იგი მომხმარებლებს ატყუებს ზომა-წონაში და უხეშად ეპყრობა მათ. ბერაძე საატესტაციო კომისიის დადგენილებით მოხსნილია სამუშაოდან, მაგრამ ეს დადგენილება დღემდე ქაღალდზე დარჩა, იაკინთე ბერაძე კვლავ განაგრძობს „მუშაობას". რაიმაღაზიის ნოქარი შალიკო შარიქაძე სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია კოოპერატივში საქონლის მოპარვისათვის, მაგრამ იგი თავის ადგილზე დასტოვეს. ის ახლაც მალავს და ნაცნობ-მეგობრებში ანაწილებს საქონელს. კოოპერატიული ქონების გამფლანგველებს მოსე ჩიკვაიშვილს და ილიკო ელიკაშვილს პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი. სასჯელის მოხდის შემდეგ ისინი კვლავ რაიკოოპკავშირის სავაჭრო ქსელში აღმოჩნდნენ. ყოფილი ვაჭარი ერმალოზ კამკამიძე მრავალჯერ იყო მოხსნილი მომხმარებლების მოტყუებისა და უხეშად მოპყრობისათვის. უკანასკნელად საწყობის გამგედ წამოასკუპეს ხარაგოულის სოფლის კოოპერატივში. კამკამიძე თავის ფარველებს უხვად ამარაგებს ფართო მოხმარების საქონლით.

ხარაგოულის სოფლის კოოპერატივის გამგეობა კადრებს შეუმოწმებლად იღებს. ამის გამო კოოპერატივში ფეხს იკიდებენ შემთხვევითი ელემენტები. ანდრო და ვოგია გველესიანები და კოტე ზუაძე სექტემბრიდან მუშაობენ ხარაგოულის სასადილოში ისე, რომ ბრძანებაშიაც არ არიან გატარებული. ანდრო გველესიანმა უკვე გაფლანგა 1.600 მანეთი და მიიმალა. ბორითის კოოპერატივის საწყობის გამგე ლავრენტი ბარბაქაძემ 3.000 მანეთი გაფლანგა, ღორეშის მაღაზიის ნოქარმა ალიომ გოგოლაძემ—793 მან., მოლითის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ გიორგი მაღრაძემ — 8.437 მანეთი, ამავე კოოპერატივის საწყობის თანამშრომლებმა გალაქტიონ სულაქველიძემ და ალექსანდრე მჭედლიძემ—24.500 მანეთი, კიცხის სასოფლო კოოპერატივის გამგემ დავით მაჭავარიანმა—7.000 მანეთი, სასადილოში მომუშავე გრიშა ბედიაშვილმა — 4040 მანეთი, ამავე კოოპერატივის ხილის დამზადების პუნქტის გამგე გიორგი ბაქრაძემ — 5662 მანეთი.

ასეთი ფაქტები ხარაგოულის რაიკოოპკავშირის სავაჭრო ქსელში გამონაკლისი როდია. მესამე კვარტალის ბოლოსათვის გაფლანგული თანხის რაოდენობა 90.000 მანეთს აღემატებოდა.

ადგილი აქვს დიდ ზარალიანობას — მესამე კვარტალში რაიკავშირის მთელ სავაჭრო ქსელში ზარალი 83.000 მანეთს შეადგენს. ხარაგოულის, წიფის, კიცხის და მოლითის მაღაზიებში არ იშოვება საკმაო რაოდენობის პირველი მოთხოვნილების საგნები. ეს იმ დროს, როდესაც ზოგიერთი სახის საქონელი საწყობში ბლომად აქვთ, ვერ მოუხერხებიათ მისი საწყობიდან მაღაზიებში გატანა. მოუწესრიგებელი არ არის პურის ცხობის საქმე, ზოგიერთ ადგილას პურის საცხობები თავის დროზე არ მოამარაგეს ფქვილით, რის გამო ოქტომბერში პური არ გამოუცხვიათ მოლითში ორ დღეს, მარელისის ფაბრიკაში—ერთ დღეს, კიცხში — სამ დღეს, ხოლო ხევში ერთ თვეზე მეტია პური არ ცხვება.

კოოპერატივების ხელმძღვანელობით მომუშავე სასადილოებში უყაირათობის შედეგად ადგილი აქვს ზარალს. მაგალითად, ხარაგოულის სასადილომ მესამე კვარტალში იზარალა 14.000 მანეთი, ხოლო მარელისის ფაბრიკის სასადილომ — 121.000 მანეთი.

კოოპერატივების მუშაობაში ზარალს ისიც ემატება, რომ რკინიგზის სადგურზე მოსულ საქონელს თავის დროზე არ იხსნიან, რის გამო იხდიან ჯარიმებს. მაგალითად, რაიკოოპკავშირმა ხარაგოულის სადგურს ჯარიმების სახით 4.000 მანეთი გადაუხადა.

რაიკავშირის თანამშრომლები სამრეწველო საქონლით თვითმომარაგებას ეწევიან. ამ მხრივ ყველას გადააჭარბეს ლოლა შარიქაძემ, მარგარიტა ტატანაშვილმა, არჩილ ლომსაძემ და სხვებმა. ისინი მარტო თავის მომარაგებაზე როდი ზრუნავენ, ნაცნობ-მეგობრებსაც ეხმარებიან საქონლის გატანაში. ყველაფერი ეს ხდება საზოგადოების თვალწინ და მომხმარებლებში დიდ უკმაყოფილებას იწვევს. რაიკოოპკავშირში ინახება ფაქტურები, რომლების მიხედვითაც თითქოს რაიმაღაზიამ მიიღო სხვადასხვა საქონელი, მაგრამ ეს საქონელი ხარაგოულში არ მოსულა. თბილისშივე გამოისყიდეს რაიკავშირის მუშაკებმა.

ხარაგოულის რაიკოოპკავშირის მდგომარეობა დამაფიქრებელია. რაიკოოპკავშირის თავმჯდომარე ვანო თაბუკაშვილი სათავეში ვერ ჩაუდგა კოოპერატივის მუშაობას. ამის შედეგად ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირში ადგილი აქვს დიდს უმსგავსოებას. პარტიის რაიკომმა თაბუკაშვილს ყოველმხრივი დახმარება გაუწია, მაგრამ ეს დახმარება მან ვერ გამოიყენა.

დროა მკაცრად დაისვას ორჯონიკიძის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების საკითხი.

დავ. გაბრიაძე.

აკ. ჭანკვეტაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი მემანქანე, თბილისის დეპოს ინსტრუქტორი ნ. გელაძე ესაუბრება მემანქანის თანაშემწე თ. ქათამაძეს. ფოტო ი. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ვ. სალაძე

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის დირექტორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი

ავტოსარემონტო ქარხანა აღმავლობის გზაზე

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ საავტომობილო მრეწველობის განვითარებას, კარგად ითვალისწინებენ რა იმ უდიდეს როლს, რომელსაც თამაშობს ავტომანქანა, როგორც მიმოსვლის ერთერთი საუკეთესო საშუალება მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში, რომელსაც ჩვენ ძლევამოსილად ვანხორციელებთ.

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ავტომობილს იმ შემთხვევაში, თუ საზიზღარმა ფაშისტმა ყაჩაღებმა გაბედეს ჩვენი თვალუწვდენი საზღვრების ხელყოფა.

მაგრამ არ კმარა მარტო ის, რომ დიდი რაოდენობით ვუშვებდეთ საჭირო ტიპის ავტომანქანებს, არანაკლებ მნიშვნელოვანია არსებული ავტოპარკის ექსპლოატაციისა და რემონტის სწორად დაყენება.

ამ უბანზე კი ყველაფერი რიგზე ვერა გვაქვს.

დიდი რაოდენობის ავტომანქანების შერჩევითმა შემოწმებამ დაგვანახვა, რომ მათგან მხოლოდ 54 პროცენტი შეიძლება ჩაითვალოს ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მიწსახკომის სისტემის ავტოპარკში, სადაც 44.064 გამოკვლეული მანქანიდან მხოლოდ 42,1 პროცენტი აღმოჩნდა ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში.

ამავე დროს კი, ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ ავტომანქანები ჯეროვან მდგომარეობაში შევინახოთ, კერძოდ, შექმნილია სამომსახურეო სადგურების ფართო ქსელი და მთელი რიგი დიდი ავტოსარემონტო ქარხნები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ გაცვეთილი მანქანების აღდგენის საპატიო და მნიშვნელოვანი ამოცანა.

ამ ტიპის ერთერთ უდიდეს ქარხანას წარმოადგენს თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა. უკვე 3 წელზე მეტია, რაც ქარხანა გადაცემულია მომქმედ საწარმოთა რიცხვში. მაგრამ ქარხნის მავნებლურმა ხელმძღვანელობამ, რომელიც მოქმედებდა მშენებლობის დაწყებიდანვე გასული წლის შუახანებამდე, ყველაფერი შესაძლებელი ჩაიდინა იმისათვის, რომ მინიმუმამდე დაეყვანა ქარხნის მნიშვნელობა და მისი როლი როგორც ძირითადი ბაზისა ამიერ-კავკასიის ავტოპარკის რემონტის დარგში.

სამშენებლო და სამონტაჟო მოუთავებლობათა მნიშვნელოვანი რაოდენობა, წარმოების ტექნიკური მომზადების ჩაუტარებლობა, მთელი რიგი დეფექტები მშენებლობასა და მონტაჟში, ქარხნისათვის სახელის სავსებით გატეხა შემკვეთელთა (ავტომეურნეობათა) თვალში—აი არასრული ნუსხა იმ მძიმე მემკვიდრეობისა, რომელიც დაუტოვეს არამზადა მავნებლებმა ქარხნის ახლანდელ ხელმძღვანელობას.

მიუხედავად ამისა, იმ მომენტიდან, რაც ქარხნის კოლექტივი გაიწმინდა მავნებელთა ბუდისაგან, დაიწყო ქარხნის განუხრელი ზრდა და მისი მუშაობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.

ამ დღეებში ავტოსარემონტო ქარხნებისა და სამომსახურეო სადგურების მთავარი სამმართველოს მმართველმა ქარხნის კოლექტივს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მიესაჯა ქარხანას მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

ძნელი ასაწერია ის აღფრთოვანება და ენტუზიაზმი, რომელიც გამოიწვია ამ დამსახურებულმა ჯილდომ ქარხნის მუშებში, ინჟინერტექნიკოსებსა და მოსამსახურეებში.

როგორია ქარხნის წარმატებათა ეს მაჩვენებლები?

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ქარხანამ დავალება საერთო პროდუქციის ხაზით შეასრულა 101,5 პროცენტით.

ნახევარი წლის პროგრამა პროდუქციის ძირითადი სახის — მზა მანქანების გამოშვების დარგში შესრულებულია ვადამდე — 12 ივნისისათვის, ხოლო მთლიანად ნახევარი წლის განმავლობაში 111,4 პროცენტით. მოტორების გამოშვების პროგრამა შესრულებულია 115,4 პროცენტით.

განმეორებითი რემონტისათვის ქარხნის მიზეზით მანქანების დაბრუნება შემცირდა 16-დან 2 პროცენტამდე. შრომის ნაყოფიერების დარგში დავალება შესრულებულია 100,6 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 25,2 პროცენტით, ამასთან გეგმასთან შედარებით თვითღირებულების შემცირება გვაქვს ჩვენ მიერ შეკეთებული მანქანების ყველა მარკებზე.

სტახანოველთა რიცხვი გასულ წელთან შედარებით გაიზარდა ერთი-ორად და კიდევ მეტად (217 პროცენტით).

მთელი რიგი სტახანოველები იძლევიან უაღრესად მაღალ მაჩვენებლებს, ცალკეულ დღეებში გამომუშავება აჰყავთ 1.000 პროცენტამდე და კიდევ უფრო მაღლა. მაგალითად, ზეინკალ ამხ. გრიგორიანს თავისი გამომუშავება 1.200 პროცენტამდე აჰყავდა.

საინსტრუმენტო საამქროს ამხარატებელმა მუშამ ამხ. ობუხოვმა გამხრახნების ახარატებისას გამოიყენა ქვების დამაგრების ახალი წესი, რამაც გაადიდა ქვების სამსახურის ვადა, გააუმჯობესა ახარატების ხარისხი და გაადიდა პროდუქციის გამოშვება. თვიურ ნორმებს ის ასრულებს საშუალოდ 300 პროცენტით, ხოლო ცალკეულ თვეებში შესრულება 400 პროცენტამდე აჰყავს.

მექანიკური საამქროს ხარატი ამხ. რუხაძე სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ნორმებს — 300-დან 400-მდე პროცენტით და მეტადაც და ამასთან იძლევა კარგი ხარისხის პროდუქციას.

ბუნებრივია, რომ ქარხნის კოლექტივს ჰქონდა სიხარულის მიზეზი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქარხანას თავისი მოქმედების განმავლობაში 1938 წლამდე არასოდეს არ შეუსრულებია გეგმა. მას ჰქონდა ხელფასის ფონდების გადახარჯვა და თვითღირებულების გადიდება, ქარხანა სისტემატურად უშვებდა ცუდი ხარისხის მანქანებს და მეტად დიდ ზარალს აყენებდა ჩვენს ქვეყანას.

ქარხნის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გამოშვებული მანქანების რემონტის ხარისხს.

ამჟამად ჩვენ ავტომეურნეობების მხრივ ძირითადად დადებითი შეფასება გვაქვს პროდუქციის ხარისხის შესახებ. შეკეთებული მანქანა შემკვეთელს ეძლევა მანქანის რემონტში ჩაბარებისთანავე საბრუნავი ფონდიდან, რომელიც ქარხანას მოეპოვება.

ივლისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის პატივსაცემად, ჩვენი პროდუქციის ხარისხის შემოწმებისა და ჩვენების მიზნით ჩატარდა ქარხნის მიერ გამოშვებული მანქანების გადარბენა შემდეგი მარშრუტით: თბილისი — გოდერძის უღელტეხილი — ბათუმი და უკანვე სურამის უღელტეხილით. გადარბენაში მონაწილეობდნენ: „გაზ"-ის მსუბუქი მანქანა, „გაზ"-ის სატვირთო მანქანა, „ზის"-ის სატვირთო მანქანა, აგრეთვე ჩვენი ქარხნის მიერ დამზადებული ავტობუსი ჩვენგანვე შეკეთებულ შასიზე და სასწრაფო დახმარების კარეტა, რომელიც აგრეთვე ჩვენ დავამზადეთ ახალ შასიზე.

გადარბენა მიმდინარეობდა ძნელ და სხვადასხვანაირ პირობებში გზის რელიეფის მიხედვით. გადარბენის დროს არ ყოფილა არცერთი შემთხვევა შეფერხებისა შეკეთებული მანქანების უწესრიგობის მიზეზით. რემონტის ხარისხი ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ასეთ შედეგებს მიაღწია ქარხნის კოლექტივმა, რომელიც მჭიდროდ დაირაზმა თავისი ხელმძღვანელობის ირგვლივ და შეიგნო მის წინაშე მდგომი ამოცანების მნიშვნელობა და სირთულე.

ამ წარმატებებთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. ამას წინათ საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც აუკრძალა ავტომეურნეობებს რემონტის საკუთარი ძალებით შესრულება. ამავე დროს კი, მთელი რიგი ავტომეურნეობანი ამ დადგენილებას არ ასრულებენ; მაგალითად, ბათუმის ტყემრეწვმეურნეობა, აჭარკოოპკავშირი და ავტოტრანსის ქუთაისის განყოფილება.

ის მანქანები კი, რომლებიც ქარხანას სარემონტოდ მოსდის, მეტნაწილად სრულიად დაუშვებელ მდგომარეობაშია. ავტომეურნეობათა უმრავლესობას თავის მოვალეობად მიაჩნია რემონტში ჩაბარების წინ მოხსნას მანქანას ყველა ვარგისი ნაწილი და შესცვალოს ისინი უტილით. ქარხნის განკარგულებაში არის მთელი რიგი აქტები მანქანებზე, რომლებიც ქარხანაში მოვიდა სავსებით გაძარცული. აქტები შედგენილია ისეთი ორგანიზაციების მანქანებზე, როგორიცაა: მევენახეობის თელავის ინსტიტუტი, თბილმშენი, უშაფათის ჩაის ფაბრიკა, ფოთის პურის ქარხანა და სხვ. მაგალითად, საქბარიტის მანქანა № 51-19 ქარხანაში სარემონტოდ მიღებულ იქნა ისე, რომ მასზე აღარ იყო წვრილი აგრეგატები (ბენზინის ტუმბო, მაყუჩი, უკანა ფანარი, კონდენსატორი, სტარტერი, სიგნალი, ამპერმეტრი, ზეთის მანომეტრი, სპიდომეტრი, მინის საწმენდი და სხვ.), სულ მანქანას აკლდა 29 სახელწოდების აგრეგატი და დეტალი.

საქ. სოფლმეურნტრანსის გორის განყოფილების მანქანა მიღებულ იქნა სავსებით გაძარცული. რემონტში ჩაბარების წინ მანქანა დაეშალათ და მოეხსნათ ყველა ვარგისი ნაწილი, მაგალითად: წყლის ტუმბო, გვერდის მინები, წინა და უკანა ფანრები, სიგნალი, ბენზინის ბაკი, კონუსისებრი კბილანა, საკისარები, საჭის ბორბალი და სხვ.

ამრიგად, მანქანებს ასახიჩრებენ, მათი სამსახურის ვადა მცირდება და, გარდა ამისა, დაუტვირთავი რჩება სპეციალური ქარხანა.

ძნელი წარმოსადგენია რამდენ ვნებასა და ზარალს აყენებს სახელმწიფოს „ვაი-მეურნეთა" ამგვარი დამოკიდებულება მანქანებისადმი.

დროა ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებმა თვალი გაახილონ, საქმეს შეხედონ საერთოსახელმწიფოებრივი თვალსაზრისით და პირი იბრუნონ ქარხნისაკენ, ისევე როგორც ქარხანამ პირი იბრუნა ავტომეურნეობებისაკენ.

სოციალისტური ტრანსპორტი სანიმუშო წესრიგში უნდა მოვიყვანოთ, ვიქონიოთ ის საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში. უნდა გვახსოვდეს, რომ იმ მანქანამ, რომელიც დღეს მშენებლობაზე მუშაობს, ხვალ შესაძლოა თავდაცვაზე იმუშაოს.

წესრიგში მოვიყვანოთ ავტოპარკი, დავუბრუნოთ ქვეყანას ათასობით მანქანები—ასეთი ამოცანა დგას ქარხნისა და ავტომეურნეობების წინაშე.

ეს ამოცანა საერთოა და ის ჩვენი საერთო ძალღონით უნდა შესრულდეს.

◆

რადიუმის ზარბაზანი

მოსკოვი, 25 ნოემბერი (საკდესი). ცენტრალური ონკოლოგიური (კიბოს საწინააღმდეგო) ინსტიტუტის შეკვეთით, მალე დამთავრდება რადიუმის ზარბაზნის ახალი აპარატის დამზადება ავთვისებიან სიმსივნეთა სამკურნალოდ.

რადიუმის ზარბაზანი საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ განსხივებისათვის რადიუმის მნიშვნელოვანი რაოდენობა. აქტიურობა მკურნალობის დროს მაშინ მრავალჯერ გადიდდება. სიმსივნის მკურნალობა რადიუმის ზარბაზნით ჩატარდება 15 სანტიმეტრ მანძილამდე. ეს საშუალებას მისცემს ექიმს უკეთესად და უფრო მეტად დააზიანოს სიმსივნის ქსოვილი სხივების ძირითადი ჯგუფის მასზე მიმართვით და ნაკლებ დააზიანოს ირგვლივ მდებარე ჯანსაღი ქსოვილი.

რადიუმის ზარბაზანი, ჯერჯერობით პირველი სსრ კავშირში, უახლოეს დროში დადგმულ იქნება ცენტრალურ ონკოლოგიურ ინსტიტუტში. შემდეგ ასეთივე აპარატს მიიღებს რადიოლოგიისა და რენტგენოლოგიის ცენტრალური ინსტიტუტიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

მოითხოვენ ლექციების მოწყობას

საქ. სსრ ჯანსახკომში 180-მდე პროფესორი, ექიმი, ეკონომისტი, ბუღალტერი და სხვა დარგის ინტელიგენტი მუშაობს. მარქსისტულ-ლენინურ თეორიით მათი შეიარაღება ადგილობრივი პარტორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ დღემდე ამ საქმეს ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

ჯანსახკომში ჩამოყალიბებული იყო საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი 2 წრე კომუნისტებისათვის, 12 წრე კი უპარტიო ინტელიგენტებისათვის.

პარტკომი ადმინისტრატიული წესით აიძულებდა კომუნისტებს ჩაბმულიყვნენ პარტიული განათლების წრეებში და არცერთი მეცადინეობა არ გაეცდინათ. ბევრი მომზადებული ამხანაგი წრეში მეცადინეობით ნაკლებ სარგებლობას პოულობდა, დამოუკიდებელი მუშაობით მათ მეტი ცოდნის მიღება შეეძლოთ, მაგრამ მათ აიძულებდნენ წრეში ევლოთ. პარტკომი თავის სხდომაზე ხშირად იძახებდა იმ ამხანაგებს, ვინც პარტიული წრის მეცადინეობას გააცდენდა, და აძლევდა სხვადასხვა სასჯელს.

— ჩვენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე ვფიქრობთ შევქმნათ ახალი პოლიტწრე, მაგრამ იმ ამხანაგებს, რომლებიც დამოუკიდებლად ისურვებენ პარტისტორიის შესწავლას, ყოველმხრივ დავეხმარებით კვალიფიციური ლექციებისა და მოხსენებების მოწყობით და კონსულტაციის გაწევით, ამბობს ჯანსახკომის პარტკომის მდივანი თ. ფოცხიშვილი.

პარტიული წრეების მუშაობაში დღემდე არ იყო შემოღებული ცოცხალი საუბრის მეთოდი. პროპაგანდისტები მეცადინეობაზე მხოლოდ კითხულობდნენ მასალებს; ასეთი კაზიონური მეთოდი კი ნაკლებ დაინტერესებას იწვევდა ამხანაგებში.

პარტიულ წრეებში სწავლობდნენ ჩვენი პარტიის ისტორიის მხოლოდ ოქტომბრის წინა პერიოდს. „პარტისტორიის შესწავლას ყოველ წელს თავიდან ვიწყებდით, რის გამო 1935 წლიდან დაწყებული დღემდე ისევ ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდს ვსწავლობთო",—ამბობს ამხ. ხასაია. ეს ნაკლი ახლა გადაჭრით უნდა გამოსწორდეს.

საქ. სსრ ჯანსახკომში პარტიული და არაპარტიული ინტელიგენციისათვის ჯერ კიდევ არ მოწყობილა არცერთი თეორიული მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე და ლექცია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ცალკეულ საკითხების შესახებ. ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების მიზნით პარტკომმა ხშირად უნდა მოაწყოს „ლექციები, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენენ" (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებიდან).

დროა ჯანსახკომის პარტკომმა სერიოზულად მოჰკიდოს ხელი პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესებას.

ალ. გოგოლაძე

თბილისი. თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. ხ. ვარანიანი პარტიის წევრობის კანდიდატებს და თანამგრძნობებს აცნობს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებას.
ფოტო ვ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

სერიოზულად მოვკიდოთ ხელი მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებას

წრეების სიუხვით არც საქართველოს განსახკომის პარტიული ორგანიზაცია ჩამორჩებოდა. აქ პარტიულ - კომკავშირული ორგანიზაციისა და უპარტიოთათვის შვიდამდე პოლიტწრე არსებობს, სადაც განსახკომის თითქმის ყველა თანამშრომელია „ჩაბმული". ხოლო პარტიის ზოგიერთი წევრი, რომელმაც ქართული ენა არ იცის, მიმაგრებულია მიწსახკომის პოლიტწრეებზე, რაც უეჭველია მათთვის დიდ უხერხულობას ჰქმნის.

თუ პარტკომის მდივნის ამხ. ვ. კიკვაძის განცხადებას დავუჯერებთ, პოლიტწრეების მსმენელთა შორის არავის განუცხადებია სურვილი დამოუკიდებლად მუშაობისა, თითქოს ყველა ხალისით ესწრებოდა წრეების მეცადინეობას. მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ამას მოწმობს 27 ოქტომბერს შემდგარი პარტიული კრების დადგენილება, სადაც აღნიშნულია, რომ ბევრი მსმენელი წრის მეცადინეობას სისტემატურად ვერ ესწრება.

განსახკომის პარტიული ორგანიზაციის წრეების მუშაობის პრაქტიკაშიაც შემოღებულია სწავლების „ერთიანი დღეები", მუშაობის ერთიანი რეგლამენტი. ამის შედეგად პარტიის, კომკავშირისა და პროფკავშირის პოლიტწრეების მეცადინეობისათვის თვეში 11 დღე არის დაწესებული, თითქოს ამ დღეების გარდა არ შეიძლებოდეს მეცადინეობა, თითქოს განსახკომის პარტიულ ორგანიზაციაში ისეთებიც მოიპოვებოდნენ, რომელთაც არ შეეძლოთ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ღრმად, დამოუკიდებლად, წრეების გარეშე შეთვისება.

ისეთი ამხანაგების რიცხვი, რომელთაც შეუძლიათ თავისუფლად გამოიყენონ ბოლშევიკების უფროსი თაობის გამოცდილებაზე შემოწმებული მეთოდი ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებელი შესწავლისა, არცთუ ისე მცირეა განსახკომის პარტიულ ორგანიზაციაში.

„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ მრავალმა პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკმა საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი განაცხადა. ისინი მოითხოვენ დახმარებას, კონსულტაციას, რომ ჩვენ ცენტრალურ გაზეთებში უფრო ხშირად იბეჭდებოდეს საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის საკითხებზე თეორიული ხასიათის წერილები, პასუხები მნიშვნელოვან შეკითხვებზე და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების გაცნობასთან დაკავშირებით ბევრმა პარტიულმა და უპარტიო ამხანაგმა წრეებში მეცადინეობის სურვილიც გამოსთქვა. პარტიული კომიტეტი მათგან შეჰქმნის ერთ ან ორ წრეს და საუკეთესო პროპაგანდისტებსაც შეურჩევს. პარტიულმა კომიტეტმა უკანასკნელ ხანებში საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის საკითხებზე ორი თეორიული მოხსენება მოაწყო. ამ მოხსენებებს ბევრი დაესწრო და ამხანაგური აზრთა გაცვლა-გამოცვლაც გაიმართა. განსახკომში, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც ეწყობა პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობის ცალკეულ საკითხებზე, რაც ძლიერ აინტერესებს როგორც პარტიის წევრებს, ისე უპარტიოებს. ისინი მოითხოვენ ხშირად იკითხებოდეს მაღალხარისხოვანი და მათთვის საინტერესო ლექციები, ეწყობოდეს ამხანაგური დისკუსიები, წაკითხულის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა. პარტკომი მოვალეა უფრო ორგანიზებულად უზრუნველჰყოს მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

გ. ლეტაიშვილი.

კონსულტაცია პარტიული აქტივისათვის

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტი სერიოზულად ეხმარება პარტიულ აქტივს „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" — მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად ცოდნათა ამ ენციკლოპედიის შესწავლაში.

ამ დღეებში რაიონის პარტიული აქტივისათვის ჩატარდა ამხ. შ. ქინქლაძის ლექცია ვ. ლენინის შესანიშნავ შრომაზე — „რა ვაკეთოთ?"

23 ნოემბერს ჩატარდა ამხ. უჩაევის ლექცია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მეორე თავის მიხედვით. ლექციას 65 კაცი დაესწრო, აქ იყვნენ პარტკომის მდივნები და მოადგილეები, პარტორგები, აგიტატორები და სხვ.

კვალიფიციური ლექციები ჩატარდა აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობისა და რელიგიის საკითხებზე.

განზრახულია მოეწყოს ლექციათა მთელი ციკლი. 29 ნოემბრისათვის განზრახულია ჩატარდეს ამხ. ა. ქუთელიას ლექცია „მონისტური შეხედულება ისტორიაზე" და სხვ.

ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტმა მოიწვია ათამდე კვალიფიციური კონსულტანტი, რომლებიც საღამოს საათებში ატარებენ მუდმივ კონსულტაციას.

კონსულტაციაზე მოსული ამხანაგები უზრუნველყოფილი არიან მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა პირველი წყაროებით. მოწყობილია სპეციალური ოთახი, სადაც გამოფენილია მარქს - ენგელს - ლენინ-სტალინის ძირითადი შრომები. აქვე „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" ცალკე თავების მიხედვით მითითებულია ლიტერატურა მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებიდან.

შ. ოზაშვილი
პ. ჭიოკაძე

ბ. ქლენტი

„კოლმეურნის ქორწინება"

პ. კაკაბაძის კომედია, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. დადგმა შ. ღამბაშიძისა, მხატვრობა კ. სანაძისა, მუსიკა კოკელაძისა

„კოლმეურნის ქორწინება" სცენა 1-ლი აქტიდან.

საბჭოთა მაყურებლისათვის კარგად ცნობილი კომედიის „ყვარყვარე თუთაბერის" ავტორმა პოლიკარპე კაკაბაძემ თავისი ახალი ნაწარმოებით „კოლმეურნის ქორწინება" გაბედული და მრავალმხრივ საყურადღებო შემოქმედებითი ნაბიჯი გადადგა: მან შექმნა ჩვენი მზიური და ბედნიერი საკოლმეურნეო ცხოვრების ამსახველი კომედია, რომელიც მკაფიოდ დამაჯერებელი და მიმზიდველი დრამატურგიული ენით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ იზრდებიან, მაღლდებიან და წინაურდებიან სოციალისტური სოფლის საუკეთესო ადამიანები, როგორ მკვიდრდებიან და ღრმავდებიან სოფლად შრომისა და ყოფაცხოვრებითი ურთიერთობის ახალი სოციალისტური ფორმები, რომლებიც ძლევამოსილად ანადგურებენ კაპიტალიზმის უკანასკნელ ნაშთებს ეკონომიკასა და ადამიანის შეგნებაში — მუქთახორობას, სიზარმაცეს, ჩამორჩენილობას, ინტრიგანობას, ჭორიკანობას, იჭვიანობას.

პიესა მძაფრ კომედიურ სიტუაციათა რამდენიმე პარალელურ ხაზს შეიცავს, რომლებიც ორგანიულ მთლიანობაში ვითარდებიან ახალგაზრდა კოლმეურნე ქალის — გვირისტინეს გარშემო.

გვირისტინე — ყოფილი ღარიბი გლეხის, — ნამოჯამაგირალ ხახულის,—ქალიშვილია. ბავშვობა ობლობასა და უკიდურეს სიღარიბეში გაუტარებია, მაგრამ როდესაც მის სოფელ ხიდობანში ჩაის მეურნეობის კოლექტივი ჩამოყალიბებულა, გვირისტინე თავდადებულად და ენერგიულად შესდგომია საკოლმეურნეო შრომას და მოხუცი მამის ბუზღუნისა და საყვედურების მიუხედავად, მოწინავე, საუკეთესო კოლმეურნის მდგომარეობა მოუპოვებია. როგორც ჩაის კრეფის საუკეთესო სტახანოველი, ის მოსკოვს გაგზავნეს, სტახანოველთა საკავშირო შეკრებაზე, სადაც მან პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ბელადების ყურადღება დაიმსახურა და უმაღლესი ჯილდო — ორდენი მიიღო.

გვირისტინეს უყვარს თავისი მეზობელი—მოწინავე, ახალგაზრდა კოლმეურნე—მირიანი. მაგრამ სოფლის ჭორიკანა გოგო—კაკალა მირიანს დაარწმუნებს, თითქოს გვირისტინე ცოლად მიჰყვებოდეს ბუქუნარელი ყოფილი აზნაურის, ხახულის ყოფილი ბატონის—მანუჩარის ვაჟს—ჯიბილოს. გარემოებათა შემთხვევითი შეხვედრა მირიანს არწმუნებს ამ ჭორის სინამდვილეში და ამ ნიადაგზე შეყვარებული ქალ-ვაჟი ერთმანეთს დაშორდება.

თავის მხრივ ჯიბილოს უყვარს გვირისტინეს მეზობელი ირინე, მაგრამ მათ შეუღლებას აფერხებს ის გარემოება, რომ ჯიბილო ჯერჯერობით უსაქმური ახალგაზრდაა; იგი ჯერ კიდევ კოლმეურნეობის გარეთ არის დარჩენილი, რადგან ერთის მხრით მას თავი ვერ დაუღწევია პარაზიტულ ცხოვრებას შეჩვეული მამის ზეგავლენისაგან, ხოლო მეორე მხრით მას ცუდი თვალით უყურებს ბუქუნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხარიტონი — ზერელე და ვიწრო გონების ადამიანი, რომელიც უფრო გარეგნული ეფექტებით არის გატაცებული, ვიდრე ნამდვილი საქმიანობით. თავმჯდომარის ასეთი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება გავლენას ახდენს ბუქუნარის კოლმეურნეობის მდგომარეობაზე, რისთვისაც ხარიტონს არა ერთხელ მიუღია საყვედური და გაფრთხილება ზემდგომი ორგანოებისაგან.

მანუჩარი გაიგებს, თითქოს ჯიბილოს საცოლეს ირინეს გადამალული ჰქონდეს გარდაცვლილი მამის, ყოფილი ვაჭრის მიერ დატოვებული დიდძალი ოქრო-ვერცხლი, მაგრამ მას სინამდვილეში ასეთი არ აღმოაჩნდება.

იმედგაცრუებული მანუჩარი მყისვე იცვლის აზრს ირინეზე და სასტიკად ჰკიცხავს შვილს მისი განზრახვისათვის. აქვე მანუჩარამდე მოაღწევს ჭორი, თითქოს ჯიბილოს საცოლე გვირისტინე იყოს და არა ირინე. პირველად მანუჩარი თაკილობს თავისი ყოფილი ნამოჯამაგირალის რძლობას, მაგრამ როდესაც კარგად ასწონ-დასწონის ორდენოსანი კოლმეურნე ქალის მდგომარეობას, მას კვლავ გაუღვივებს სხვისი შრომის ხარჯზე უზრუნველი ცხოვრების ოცნება და ენერგიულად შეეცდება სასწრაფოდ მოაგვაროს ეს საქმე.

მაგრამ ხახულიც აღარ არის ძველი ხახული. მან უკვე კარგად იცის როგორც თავისი ორდენოსანი ქალიშვილის ისე „ყოფილი ადამიანის"—მანუჩარის ფასი. ხახული არ თანხმდება გაატანოს ცოლად თავისი შვილი ჯიბილოს, რომელიც ჯერ სტახანოველი კი არა, კოლმეურნეობის წევრიც არ არის.

ხიდობანში სტახანოველთა საკავშირო შეკრებიდან დაბრუნებული დელეგატებისათვის მოწყობილ საზეიმო შეხვედრას ესწრებიან მეზობელ კოლმეურნეობათა წარმომადგენელნი და მათ შორის ხარიტონიც. ხარიტონი შურით არის შეპყრობილი, რომ ხიდობანის კოლმეურნეობა წინ უსწრებს ბუქუნარის კოლმეურნეობას, რომ ხიდობანს ორდენოსანი კოლმეურნე ჰყავს და, მაშასადამე, ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯამლეთი მას სჯობნის.

პარტიიდან გაძევებული ხიდობანელი ინტრიგანის და კარიერისტის ლომკაცას საშუალებით ხარიტონი გაიგებს ჭორს, თითქოს გვირისტინე ცოლად ჯიბილოს მიჰყვებოდეს. ხარიტონი აღტაცებულია ოცნებით, რომ ორდენოსანი ქალი მის კოლმეურნეობაში გადავა. ამ ოცნებით შეპყრობილი ხარიტონი ყოველგვარი საშუალებით ცდილობს მოაგვაროს ეს საქმე. იგი კოლექტივში მიიღებს ჯიბილოს, შეურიგდება მანუჩარს, უკავშირდება ლომკაცას და აქტიურად მოქმედებს ორდენოსანი ქალის გადასაბირებლად.

ბოლოს გვირისტინესა და მირიანს შორის შექმნილი გაუგებრობა გამოირკვა და გაიფანტა. ისინი კვლავ დაუბრუნდნენ ერთმანეთს. ჯიბილო, რომელმაც კოლმეურნეობაში პატიოსანი შრომით სტახანოველობა მოიპოვა, საბოლოოდ განთავისუფლდა მამის გავლენისაგან და, ხარიტონის აზირებული სურვილის წინააღმდეგ, მტკიცედ გადასწყვიტა სამუდამოდ დაუკავშირდეს ირინეს.

მუქთახორა მანუჩარი, მაჭანკლობაში გაქნილი ვატა, ინტრიგანი ლომკაცა და ჭორიკანა კაკალა შერცხვენილი და დამარცხებული გამოიყურებიან.

ავტორი ხატავს საკოლმეურნეო ცხოვრების მკაფიო სურათებს, ჰქმნის მკვეთრად გამოკვეთილი ტიპიური ხასიათების მთელ გალერიას.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ „კოლმეურნის ქორწინება" ქართული დრამატურგიის მნიშვნელოვანი მიღწევაა.

ამ პიესით ავტორმა წარმატებით გადასჭრა თანამედროვეობის აქტუალურ თემაზე აგებული საბჭოთა კომედიის შექმნის პრობლემა, რომელიც ასე მწვავედაა დასმული მთელს საბჭოთა დრამატურგიაში. დრამატურგმა მონახა კომედიური ჟანრის ისეთი ორიგინალური ფორმა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა კომედიურ სიტუაციათა ცენტრში დადებითი ადამიანის, ჩვენი დროის გმირის დაყენებისათვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, პიესის სიტყვიერი მასალის მაღალი ლიტერატურული ღირსება. ამ მხრივ პიესა ზოგჯერ ნამდვილ პოეტურ სიმაღლეს აღწევს. ხშირად დიალოგის ყოველი ფრაზა მაყურებლის ცხოველ რეაქციას იწვევს.

პიესას აქვს ზოგიერთი ნაკლიც: ფინალი მხატვრული თვალსაზრისით შედარებით სუსტად არის დამუშავებული. სასურველი იყო, რომ პიესის ზოგიერთი დადებითი პერსონაჟი უფრო მკაფიოდ და რელიეფურად ყოფილიყო დახატული. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რისთვის ღელავს და ცხარობს ხიდობანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ჭკვიანი და შეგნებული ჯამლეთი იმის გამო, რომ მან გაიგო თითქოს გვირისტინე ბუქუნარში აპირებდეს გათხოვებას.

პიესის საერთოდ მაღალ მხატვრულ სიტყვიერ ქსოვილსაც სჭირდება აქა-იქ დახვეწა და გათანაბრება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი შეეცდება დასძლიოს პიესის ეს ნაკლოვანებანი, მით უფრო, რომ ეს კომედია დიდხანს შერჩება ჩვენი თეატრების რეპერტუარს.

კ. მარჯანიშვილის თეატრმა „კოლმეურნის ქორწინება" განასახიერა სადა რეალისტურ სცენიურ საშუალებათა გამოყენებით და შექმნა ცხოველი, საინტერესო, ხალისიანი სპექტაკლი, რომელსაც უეჭველი სიხარულითა და კმაყოფილებით ეგებება საბჭოთა მაყურებელი.

მსახიობი ქალი — **ც. თაყაიშვილი** მაყურებელს ხიბლავს თავისი უშუალობით, სისადავით, სითბოთი. მან თვალწინ დაგვიყენა ტიპიური სახე ჩვენი საკოლმეურნეო მინდვრების გმირი-ქალებისა, რომლებიც უანგარო შრომით მიისწრაფიან სახელისა და დიდების სიმაღლეებისაკენ. ხახულის როლის განსახიერებით **კ. კვანტალიანმა** კიდევ ახალი, მკვეთრი და ორიგინალურად დამუშავებული სცენიური სახით გაამდიდრა თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფია.

მაყურებელი დარბაზის განუწყვეტელ რეაქციას და საერთო მოწონებას იმსახურებს მსახიობი **გ. შავგულიძე** (ხარიტონის როლში). მას მძაფრი სცენიური საშუალება ახასიათებს. ტიპის საერთო პორტრეტს ძლიერად ანხორციელებს, საჭირო კი იყო ოდნავ მეტი ზომიერება, რათა შარჟში არ გადავიდეს. **ს. ზაქარიაძემ** (ჯიბილო) ამ სპექტაკლში თავისი არტისტული ნიჭის მრავალფეროვნება გვიჩვენა.

პიესის ერთერთ მთავარ ფიგურას წარმოადგენს მანუჩარი — „შემოდგომის აზნაურების" უკანასკნელი ნაშთი. ეს სახე დიდის ზომიერებით და სიმართლით განახორციელა **შ. ჯაფარიძემ**. ამ სპექტაკლის საუკეთესო აქტიორულ სახეთა რიგს ეკუთვნის აგრეთვე **გ. კოსტავას** მიერ შესრულებული როლი ინტრიგანისა და კარიერისტის ლომკაცასი.

დანარჩენ შემსრულებელთაგან ყურადღებას იპყრობენ **თ. ჩარკვიანი** (კაკალა), **ა. დონჟალელი** (ირინე) მ. მგელაძე (მირიანი) და სხვ.

ნიჭიერმა ახალგაზრდა მხატვარმა **კ. სანაძემ** ამ სპექტაკლში პირველად სცადა თავისი შესაძლებლობანი დეკორატიული მხატვრობის დარგში.

კომპოზიტორ **გ. კოკელაძის** ნამუშევარი უფრო სპექტაკლის მუსიკალური ილუსტრაციისაკენ არის მიმართული, ვიდრე სიუჟეტური განვითარების ორგანული მუსიკალური კომპონენტის შექმნისაკენ.

„კოლმეურნის ქორწინება" ქართული საბჭოთა დრამატურგიისა და თეატრის სასიხარულო მიღწევაა.

სიტყვების ახსნა-განმარტება

ღვთისმაძიებლობა

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ დადგა შავი რეაქციის ხანა. კონტრრევოლუცია სასტიკად უსწორდებოდა მუშათა კლასს. კონტრრევოლუციის ეს შემოტევა იდეოლოგიურ ფრონტზედაც მიმდინარეობდა. გამოჩნდა მწერალთა მთელი ხროვა ლიბერალური ინტელიგენციის წრიდან, რომლებიც აფურთხებდნენ რევოლუციას, „ანადგურებდნენ" მარქსიზმს, ქადაგებდნენ რელიგიას, მისტიკას.

აღმოცენდა მთელი რიგი რელიგიური წრეები და მიმდინარეობანი ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში.

ერთერთი ასეთი რეაქციული რელიგიურ - ფილოსოფიური მიმდინარეობა იყო ღვთისმაძიებლობა.

პეტერბურგელ ღვთისმაძიებელთა საქმიანობის ცენტრი იყო „რელიგიურ - ფილოსოფიური საზოგადოება". ღვთისმაძიებელთა ჯგუფების ცენტრი მოსკოვში იყვნენ ჟურნალები „პერევალი" და „ვესი". ღვთისმაძიებლობის იდეური წინამძღოლები იყვნენ მერეჟკოვსკი, ყოფილი „ლეგალური მარქსისტები" ბულგაკოვი, ბერდიაევი და სხვ.

გამოდიოდნენ რა როგორც უკიდურესი ინდივიდუალისტები, ყველანაირად ხოტბას ასხამდნენ რა თავაშვებულობას, ზნეობრივ გახრწნას „პიროვნების კულტის" სახით, ღვთისმაძიებლები აზვიადებდნენ ხუცესთა ბოდვას პირადი უკვდავების შესახებ.

„უკიდურესობამდე მისული ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი, — სწერდა პლეხანოვი, — იწვევს იმას, რომ ადამიანი ებლაუჭება საკითხს თავისი პირადი უკვდავების შესახებ, როგორც ყოფის მთავარ საკითხს (თხზ. ტ. XVII, გვ. 300).

სულის უკვდავების შესახებ, საიქიო ცხოვრების შესახებ გამხრწნელი, ხუცესური მოძღვრების ქადაგებით, რომლითაც ხუცესები ანუგეშებდნენ ექსპლოატირებულ მასებს, ღვთისმაძიებლები ცდილობდნენ ჩაეგონებინათ მასებისათვის ზიზღი მიწიერი ცხოვრებისადმი. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ექსპლოატატორული წყობილების წინააღმდეგ მათ „მეშჩანობად" გამოაცხადეს.

ააშკარავებდა რა ღვთისმაძიებლობის კონტრრევოლუციურ როლს, ლენინი სწერდა:

„შემთხვევითი არ არის, რომ **აუცილებლობის** გამო მთელი ჩვენი რეაქცია საერთოდ, ლიბერალური (ვეხოვური, კადეტური) რეაქცია კერძოდ „მიესია" რელიგიას. მარტო ჯოხი, მარტო მათრახი ცოტაა; ჯოხი მაინც გადატეხილია" (თხზ. ტ. XV. გვ. 89).

ღვთისმაძიებლები, როგორც ბნელეთის სხვა ძალები, ეხმარებოდნენ მემამულეებს და ბურჟუაზიას შეეძინათ სულიერი ჯოხი, სულიერი მათრახი, ეხმარებოდნენ მათ მშრომელთა კლასობრივი თვითშეგნების მიძინებაში და დაჩლუნგებაში.

ღვთისმშენებლობა

დაცემულობა, რევოლუციის ძალების რწმენის უქონლობა, რევოლუციის გამარჯვებაზე გულისგატეხა, რომლებიც განსაკუთრებით გაძლიერდა ინტელიგენციის წრეში 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მოედო ნაწილს პარტიულ ინტელიგენტთა იმ რიცხვიდანაც, ვინც 1905 წელს ბოლშევიკებს ემხრობოდა (ბოგდანოვი, ბაზაროვი, ლუნაჩარსკი), და მენშევიკების ნაწილს (იუშკევიჩი, ვალენტინოვი და სხვ.).

ეფარებოდნენ რა მარქსიზმის თვალთმაქცურ აღიარებას და ორგულობდნენ, ისინი ცდილობდნენ მოესპოთ მარქსისტული მატერიალიზმი, შეეცვალათ იგი მახისა და ავენარიუსის იდეალისტური ფილოსოფიით, რომელიც ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში მოდაში იყო შემოღებული.

ისინი ცდილობდნენ ეს იდეალისტური ფილოსოფია — მახიზმი, — რომელიც წარმოადგენდა რელიგიის დახვეწილ დაცვას, — გაესაღებინათ როგორც „პროლეტარიატის ფილოსოფია". ეყრდნობოდნენ რა ამ იდეალისტურ ფილოსოფიას, ლუნაჩარსკი, ბაზაროვი და სხვები აშკარად გამოდიოდნენ რელიგიის დასაცავად, დაიწყეს ახალი რელიგიის — „სოციალისტური რელიგიის" შექმნის ქადაგება.

ღვთისმშენებლობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ბოგდანოვი არ კმაყოფილდებოდა იდეალიზმის დაცვით: ის აშკარად გამოვიდა რელიგიის დასაცავად, გამოაცხადა რა იგი „კოლექტიური ორგანიზაციის მიზანშეწონილ ფორმად", ირწმუნებოდა, რომ რელიგია და მისი მატარებლები თითქოს ყოველთვის გამოდიოდნენ „პროგრესიულ" ფაქტორებად კაცობრიობის განვითარებაში. ბოგდანოვმა სცადა დაეახლოვებინა მეცნიერული და რელიგიური აზროვნება, ე. ი. დაიწყო რელიგიური ბნელეთის მოციქულობისათვის ხოტბის აშკარად შესხმა. ბოგდანოვის დებულებათა საფუძველზე კიდევ უფრო გულახდილად გამოვიდა ა. ვ. ლუნაჩარსკი.

კრებულში „მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევები", სტატიაში „ათეიზმი", ლუნაჩარსკიმ გამოაცხადა სოციალიზმი „ღრმა რელიგიურად". ბოლოს, სპეციალურ წიგნში „რელიგია და სოციალიზმი" ლუნაჩარსკიმ სცადა დაწვრილებით დაესაბუთებინა „ახალი, სოციალისტური რელიგია". ის აყენებს უაზრო ტერმინს, უაზრო გამოთქმას „რელიგიური ათეიზმი", ამტკიცებს რა, რომ ეს „ახალი" რელიგია გადაჭრით განსხვავდება რელიგიებისაგან ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მაგრამ აქ საქმე მდგომარეობს არა მარტო ტერმინში, არა მარტო გამოთქმაში, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს: ლაპარაკი იყო **რელიგიური ბნელეთის მოციქულობის გამართლების** რეაქციულ ცდაზე, ლაპარაკი იყო დიალექტიკური მატერიალიზმის ყველაზე აშკარა, მებრძოლი მტრების მხარეზე პირდაპირი გადასვლის შესახებ. „რაში მდგომარეობს წარსულის ყველა რელიგიის ამოცანა?"—აყენებდა კითხვას ლუნაჩარსკი, და იმის ნაცვლად, რომ ეჩვენებინა, რომ **რელიგია ბანგია ხალხისთვის**, იმის ნაცვლად, რომ გამოემჟღავნებინა, რომ რელიგია ამახინჯებს სამყაროს ნამდვილ გაგებას და წარმოადგენს იარაღს ექსპლოატატორული კლასების ხელში, იგი უპასუხებდა: ყოველი რელიგიის მიზანია—„ბუნების დამორჩილება და ცხოვრების განვითარების მაქსიმუმი" (იხ. „მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევები", გვ. 156. 1908). ამგვარად, ლუნაჩარსკი არა მარტო ამტკიცებს, რომ ყოველ რელიგიას აქვს დადებითი მნიშვნელობა, არამედ ცდილობს დაამყაროს რაღაც საერთო რელიგიის ამოცანებსა და პროლეტარიატის ამოცანებს შორის. მართალია, იგი იქვე აცხადებს, რომ პროლეტარიატი ძველი რელიგიებისაგან განსხვავებით დგას „რელიგიური ათეიზმის" პოზიციაზე, მაგრამ აქაც ლუნაჩარსკი მაშინვე გვიჩვენებს თავისი „ათეიზმის" ნამდვილ სახეს. იმ დროს როდესაც XVIII საუკუნის ბურჟუაზიული ათეისტებიც კი, რომლებიც გამოდიოდნენ საშუალო საუკუნეების ფეოდალური რელიგიის წინააღმდეგ, სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ცნება „ღმერთი" არის ცნება, რომელსაც შეუძლია მხოლოდ „ზიზღის გამოწვევა", რომ „ღმერთად" ჩვეულებრივ გამოდიოდა იდეალიზებული მეფე, საშუალო საუკუნეების ფეოდალი, დესპოტი და სხვ., ლუნაჩარსკიმ ისიც კი განაცხადა, რომ „წარმოდგენა ღმერთზე შეიცავს რაღაც მაჟადიურად მშვენიერს" (იქვე, გვ. 157).

ამგვარად, ქადაგებს „რელიგიისა უღვთოდ" ღვთისმშენებლები გარდუვალად გადააქცევდნენ ხოლმე თვით „უფალი ღმერთის" აშკარა პროპაგანდად. თუმცა ეს ღმერთი რამდენადმე „განახლებული" იყო, მაგრამ პრინციპულად სავსებით შეესაბამებოდა ხუცესთა ჩვეულებრივ ბოდვას.

ლენინი სწერდა, რომ ღვთისმშენებლები, ისევე როგორც ღვთისმაძიებლები, კაზმავდნენ რა რელიგიას და ღვთის იდეას ყველაზე ლამაზ, „იდეურ" სამოსელში, პირწავარდნილ რეაქციონერებს ხელში აძლევდნენ უფრო დახვეწილ იარაღს მასების სულიერი გახრწნისა და დაძინებისათვის, ვიდრე ოფიციალური რელიგია, რომელსაც ეკლესიებში ჰქადაგებდნენ „ანაფორიანი ჩინოვნიკები", „ქრისტეს მიერ ჟანდარმები". მათ, ამბობდა ლენინი, „შეალამაზეს, მოშაქრეს კლერიკალების, პურიშკევიჩების, ნიკოლოზ II-ის და ბატონ სტრუვეების იდეა, ვინაიდან **სინამდვილეში ღმერთის იდეა ეხმარება მათ ხალხი ამყოფონ მონობაში**... შეალამაზეს ბორკილები, რომლებითაც ისინი ბორკავენ უვიც მუშებსა და გლეხებს" (თხზ. ტ. XVII, გვ. 84).

ღვთისმშენებელთა გამოსვლა მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ გამსჭვალულია სიძულვილით არამარტო პროლეტარიატის თეორიისადმი, არამედ მისი რევოლუციური პრაქტიკისადმიც: იგი განუყრელად დაკავშირებულია ოტზოვისტებისა და ლიკვიდატორ-მენშევიკთა ბანაკიდან მათი მეგობრების ანტილენინურ ბრძოლასთან ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. აი რატომ იყო, რომ ღვთისმშენებლები არ დაკმაყოფილდნენ მარტო „თეორიული" საქმიანობით: მათ შექმნეს სპეციალური ანტიპარტიული ჯგუფი „ვპერიოდი", იტალიაში, კუნძულ კაპრიზე, მოაწყეს ფრაქციული სკოლა, რომლის მსმენელებს ზრდიდნენ ბოლშევიკებისადმი სიძულვილით. 1910 წელს „ვპერიოდელებმა" ასეთივე სკოლა შექმნეს ბოლონიაში, მიიზიდეს იქ სამუშაოდ იუდა—ტროცკი და მისი მეგობრები — ლიკვიდატორები. ამგვარად, ღვთისმშენებლები **პრაქტიკაში** აღმოჩნდნენ პარტიის ისეთივე მტრები, როგორც ფილოსოფიის დარგში. ბოლშევიკების პარტიამ გამოუცხადა მათ დაუნდობელი ბრძოლა. ლენინმა სპეციალურად ღვთისმშენებელთა წინააღმდეგ გამოსცა მთელი რიგი შრომები, მათ შორის თავისი გენიალური წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", რომელიც წარმოადგენდა ახალ უმაღლეს ეტაპს დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში. მარქსიზმის ყველა მტრებთან ბრძოლაში ლენინს უდიდესი დახმარება აღმოუჩინა მისმა გენიალურმა თანამებრძოლმა ამხანაგმა სტალინმა.

1909 წელს ბოლშევიკური გაზეთის „პროლეტარის" გაფართოებული რედაქციის თათბირზე ღვთისმშენებლები და ოტზოვისტები, რომლებიც ერთიან ანტიბოლშევიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ, განდევნილ იქნენ ბოლშევიკური ორგანიზაციიდან.

„ვპომოშჩ პარტუჩებე" № 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელი და ლონდონელი კორესპონდენტების ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ჩინეთის ჯარმა შეაჩერა იაპონელთა ჯარის შეტევა იოჯოუდან ჩანშაზე და განაგრძობს თავისი პოზიციების განმტკიცებას. კერძოდ, მათ იაპონელთა გემებს გადაუჭრეს დუნტინხუს ტბაში შესასვლელი გზა.

ხანკოუს ჩრდილოეთით გამწვავებული ბრძოლის შემდეგ ჩინეთის ჯარმა განდევნა იაპონელები და დაიკავა უშენგუანის მთის გასასვლელი ხენანისა და ხუბეის პროვინციების საზღვარზე. ამ გასასვლელს დიდი მნიშვნელობა აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ მასზე გადადის ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზა. იაპონელები უკან იხევენ ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულებით.

ხანკოუს ჩრდილო-დასავლეთით კვლავ შეუპოვარი ბრძოლა გრძელდება სინიანის მიდამოებში.

ნანკინის სამხრეთით ბრძოლა უხუს რაიონში სწარმოებს. მიღებულ ცნობათა მიხედვით, ჩინეთის ჯარმა ორი მაღლობი დაიკავა უხუს აღმოსავლეთით, იაპონელებმა უკან დაიხიეს უხუსა და ვანჯიში, სადაც მათ მიერ უკვე მომზადებულია ნავები და გემები მდინარე იანძის მეორე ნაპირზე გადასასვლელად.

ანხუეის პროვინციის დასავლეთ ნაწილში ჩინეთის ჯარმა დაიკავა ლიუანი და განაგრძობს წინსვლას სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

სამხრეთ ჩინეთში

სამხრეთ ჩინეთის ფრონტზე ცვლილებანი არ მომხდარა. ბრძოლა კანტონის მიდამოებში სწარმოებს. დღითი-დღე ფართოვდება პარტიზანული მოძრაობა კანტონის გარშემო. გუანდუნის მთელი პროვინცია დაყოფილია ათ სპეციალურ რაიონად. თვითეულ მათგანში პარტიზანული რაზმი მოქმედებს.

⊙

ცნობები ჩრდილოეთ ჩინეთის მდგომარეობის შესახებ მიღებული არ არის.

ჩინელი პატრიოტების ბრძოლა სამშობლოს გამცემლებთან

ჩუნცინი, 25 ნოემბერი (საკდესი). როგორც ახლა ცნობილი გახდა, 6 ნოემბერს ქალაქ ძინანში ოთხმა ჩინელმა პატრიოტმა რამდენიმე ხელყუმბარა გადაისროლა იმ სადგომში, სადაც შანდუნის პროვინციის მარიონეტული „მთავრობის" სხდომა სწარმოებდა იაპონელ ოფიცრებთან ერთად. სამმა თავდამსხმელთაგანმა მოახერხა დამალვა, მეოთხემ, არ სურდა რა ხელში ჩავარდნოდა იაპონელებს, თავი მოიკლა.

ამ თავდასხმასთან დაკავშირებით, იაპონელთა ხელისუფლებამ მოაწყო ქალაქის მოსახლეობისათვის ანგარიშის გასწორება. სწარმოებს საყოველთაო ჩხრეკა და დაპატიმრება. მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში დაპატიმრებულ იქნა 2 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე. მათ შორის 6 კაცი დახვრეტილ იქნა ადგილობრივ ყოველგვარი კვლევაძიებისა და განსჯის გარეშე.

პოლონეთისა და უნგრეთის დამპყრობლური პრეტენზიები

ლონდონი, 25 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რომ ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე ხდება პოლონეთის ჯარების დიდი ერთეულების კონცენტრაცია. მაგალითად „ივნინგ სტანდარდის" დიპლომატიური მიმომხილველის სიტყვით, იმიერკარპატის უკრაინის საზღვრის გასწვრივ პოლონეთმა თავი მოუყარა თავისი ჯარების 7 დივიზიას. ამას გარდა, 40 ათასი ჯარისკაცი თავმოყრილია რუმინეთის საზღვარზე იმ მიზნით, რათა გამოვიდეს რუმინეთის წინააღმდეგ, თუ ეს უკანასკნელი შეეცდება დახმარება გაუწიოს ჩეხოსლოვაკიას. პოლონეთისა და უნგრეთის თავდასხმა იმიერკარპატის უკრაინაზე, აღნიშნავს მიმომხილველი, დანიშნულია 27 ნოემბრისათვის.

მოკლე ცნობები

- გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, რომ გესტაპოს უფროსმა ჰიმლერმა გერმანიის საელჩოს მრჩეველს ბერნში ფონ-ბიბრს დააკისრა ამოცანა აწარმოოს პროპაგანდა „გერმანიის ტერიტორიასთან შვეიცარიის შეერთებისათვის".
- ინგლისის კონსერვატიული გაზეთები ბეჭდავენ ტანგანაიკიდან მიღებულ დეპეშას, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისის ადგილობრივი საქმიანი წრეები მიესალმებიან გერმანელ ებრაელთა გადასახლებას ტანგანაიკაში.
- როგორც ლონდონის ჟურნალისტთა წრეებში იუწყებიან, ამასწინათ პოლონეთის მთავრობამ მოითხოვა, რათა გერმანიიდან გადასახლებული პოლონელი ებრაელები აყვანილ იქნან გერმანელი ლტოლვილების საქმეთა საერთაშორისო კომიტეტის მზრუნველობაზე. კომიტეტმა უარი უთხრა პოლონეთს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.
- დღეს ჩემბერლენი და ჰალიფაქსი, აგრეთვე მათი თანმხლები პირნი, პარიზიდან ლონდონს გაემგზავრნენ.
- სენის დეპარტამენტის გენერალურმა საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება დელეგაცია გაუგზავნოს დალადიეს და მოსთხოვოს მას საგანგებო დეკრეტების გაუქმება.
- კოლუმბიის ახალი ელჩი ბერლინში და კოლუმბიის მისიის საქმეთა რწმუნებული დააპატიმრეს იმ მომენტში, როდესაც ელჩი იღებდა ფაშისტების მიერ დანგრეულ ებრაელთა მაღაზიების ფოტოგრაფიულ სურათებს. ამის გამო კოლუმბიის მთავრობამ წინადადება მისცა ელჩს გადასდოს თავისი რწმუნებითი სიგელების გადაცემა.
- კანადის პრემიერმა კინგმა ებრაელთა ორგანიზაციების დელეგაციას განუცხადა, რომ მთავრობა თანაგრძნობით ეკიდება იმ საკითხს, რომ გერმანელ ლტოლვილ ებრაელებს კანადაში შესვლის ნება მიეცეთ. (საკდესი).

გადავაქციოთ დუშეთი კულტურულ ქალაქად

ორდენოსანი საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით დუშეთი, როგორც რაიონის ცენტრი, კეთილმოწყობის მხრივ ვერ აკმაყოფილებს მშრომელი მოსახლეობის მზარდ კულტურულ მოთხოვნილებას. ამ ქალაქში გზები ჯერ კიდევ სოფლური ტიპისაა და 20.000 კვ. მეტრის ფართობზე საჭიროებს ქვაფენილის დაგებას, ხოლო 14.000 კვ. მეტრზე მოკირწყვლა - მოასფალტებას. დუშეთში არის ხევი, რომლის სანაპიროები 1½ კილომეტრზე საჭიროებს შეკეთებას. იმავე ხევზე (სიგანით 4 მეტრია და სიღრმით 7) საჭიროა ორი ხიდის აგება, რადგან ის ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს.

ქალაქს აკლია წყალი, ამავე დროს იკარგება წყლის საკმაოდ დიდი რაოდენობა. ეს გარემოება გამოწვეულია წყალსადენის შეუკეთებლობით. 10-15 მეტრის სიღრმეზე ამოთხრილი საკონტროლო ჭები მიწითა და ტალახითაა ამოვსებული. ამრიგად, წყალსადენის მთელი ქსელი საჭიროებს გაწმენდას და კაპიტალურ შეკეთებას. დუშეთში მხოლოდ ორი ცენტრალური ქუჩაა განათებული, დანარჩენები კი ჩაბნელებულია. ეს იმ დროს, როცა საქართველოს მთელი რიგი სოფლები ელნათურებითაა გაბრწყინებული. ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს ანტისანიტარიას ქალაქში.

კულტურული გართობისა და დასვენებისათვის ქალაქის მოსახლეობას საკმაო ტერიტორია აქვს. ეს არის დუშეთის ბაღი, რომელიც მოკლებულია მოვლა-პატრონობას. ამ ბაღისათვის ძველი ეკლესიის ნანგრევები ჯერაც არ მოუცილებიათ. კეთილ-მოწყობისათვის საჭიროა სასეირნო გზების გაკეთება, ყვავილნარის მოწყობა და სხვ. ეს მუშაობა უნდა შესრულდეს 7.000 კვ. მეტრ ფართობზე. გამწვანება ქალაქის ტერიტორიის მხოლოდ 5 პროცენტზეა ჩატარებული. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ამოცანას ეს ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს. დუშეთის მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქადის აგრეთვე ის, რომ აქ არ არის სასენიზაციო ქარავანი. ქალაქის მთელი სიბინძურე გროვდება ხევში, რაც გამოიწვევს სხვადასხვაგვარ ავადმყოფობას.

ქალაქი ყოველწლიურად იზრდება, ამავე დროს მისი მშენებლობა მიმდინარეობს უგეგმოდ, სოფლის ყაიდაზე, ისე, რომ ქალაქს არც გეგმა აქვს და არც საჭირო რუკა.

ქალაქს არა აქვს საავადმყოფო, კლუბი, აბანო და სხვ. არის ერთი აბანო, რომელიც ისე დიდ შეკეთებას მოითხოვს, რომ ახლის აგება გაცილებით უფრო მიზანშეწონილია. საცხოვრებელი სახლები და ქალაქის დაწესებულებათა ბინები შეუკეთებელია. რაიაღმასკომის ზოგიერთი განყოფილება მოთავსებულია სხვადასხვა კერძო სახლებში, რაც საგრძნობლად ართულებს რაიაღმასკომის მუშაობას. გარდა ამისა, ქალაქს სახანძრო დეპოც არა აქვს.

მიმდინარე წელს ქალაქის კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებული იყო 25.000 მან., აღნიშნული თანხიდან ქუჩების მოკირწყვლისათვის ათვისებულია 15.000 მან., 3000 მან. წყალსადენის მილებისა და ბოგირისათვის, დანარჩენი თანხა კი გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ. 5.000 მან. გათვალისწინებული იყო წყალსადენისათვის, აუზებისა და ჭების დასახურავად. აღნიშნული სამუშაოები შესრულებულია, მაგრამ ეს სულ მცირე ნაწილია იმ საქმისა, რომელიც გასაკეთებელია ქალაქ დუშეთის კეთილმოწყობისათვის.

ამჟამად ქალაქის კეთილმოწყობას ხელმძღვანელობს რაიაღმასკომის კომუნალური განყოფილება, რომლის უფროსად დანიშნულია მარო ბაქრაძე. იგი ენერგიის დაუზოგავად იბრძვის თავისი მოვალეობის წარმატებით შესასრულებლად, მაგრამ საქმისათვის მარტო ეს როდი კმარა, მას ესაჭიროება კომუნალურ - სამშენებლო ორგანოების ხელმძღვანელების კონკრეტულ-ოპერატიული დახმარება.

ნ. ბერაძე

მარცხნიდან მარჯვნივ: რაზმის კომისარი — პოლიტხელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ასლანბეკ ჩელოხსაევი, რაზმის უფროსი — კაპიტანი ანატოლი დიაკონოვი და პარტიზანი ხაზირ ორცხანოვი რაზმთან ერთად მიესალმებიან ხევსურეთის მოსახლეობას; ხევსურეთის მშრომელნი მოლაშქრეთა შეხვედრისას; მოლაშქრე მებრძოლები გადიან ხევსურეთის არაგვზე მათ მიერ გაკეთებული ხიდით.

ფოტო ჰ. აკოფოვისა

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

ამსტერდამი, 25 ნოემბერი (საკდესის სპეცკორისაგან). დღეს ქალაქ ლეიდენში შესდგა საერთაშორისო საჭადრაკო მატჩ-ტურნირის მე-13 ტური.

ბოტვინიკ-ფლორმა და რეშევსკი-ეივემ თავისი პარტიები ყაიმით დაამთავრეს. ფაინ-ალიოხინისა და კაპაბლანკა-კერესის პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიები გათამაშდება ხვალ ამსტერდამში.

ლენინგრადის კაპელა თბილისში

საბჭოთა მუსიკის დეკადის ჩატარებასთან დაკავშირებით, თბილისში ჩამოვიდა ლენინგრადის სახელმწიფო აკადემიური კაპელა, რომელსაც წელს დაარსებიდან 225 წელი შეუსრულდა.

ეს კაპელა მგალობელთა გუნდის სახით დაარსებულია პეტრე პირველის მიერ 1713 წელს. პირველად იგი ასრულებდა საეკლესიო საგალობლებს და ემსახურებოდა მეფის მოხელეებს.

1836 წელს ამ გუნდის ხელმძღვანელობა დაევალა კომპოზიტორ გლინკას, რომელმაც დიდად აამაღლა მომღერალთა კულტურული და მუსიკალური ცოდნის დონე. გლინკას ხელმძღვანელობით გუნდმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. იმ დროს უცხოეთიდან ჩამოსული ცნობილი კომპოზიტორები: შუმანი, ლისტი, ბერლიოზი და სხვები მას საუკეთესო დახასიათებას აძლევდნენ.

გლინკას შემდეგ გუნდს ხელმძღვანელობდნენ მ. ბალაკირიოვი, რიმსკი-კორსაკოვი, არენსკი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კაპელას განვითარების ფართო შესაძლებლობა მიეცა. შეუდარებლად გაიზარდა კაპელის რეპერტუარი და ამაღლდა შესრულებული სიმღერების ხარისხი. ახლა კაპელა დიდი ოსტატობით ასრულებს მოცარტის, ბახის, გენდელის ნაწარმოებებისა და საბჭოთა სიმღერების საუკეთესო ნიმუშებს.

ამჟამად კაპელას ხელმძღვანელობს დამსახურებული არტისტი ა. სვეშნიკოვი.

ლენინგრადის კაპელა თბილისში რამდენიმე კონცერტს გამართავს.

მეთოდკაბინეტი

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა ქ. თბილისში კოლხიდის ქუჩა № 5-ში გახსნა საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მეთოდკაბინეტი.

კაბინეტი მეთოდურ მომსახურებას გაუწევს რესპუბლიკაში არსებულ ყველა ტიპის საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლებს, როგორიცაა ყრუმუნჯთა სკოლა, უსინათლოთა სკოლა და დამხმარე სკოლა გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთათვის.

კაბინეტის მთავარ მიზანს შეადგენს საბავშვო სახლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის აქტუალური საკითხების მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე დამუშავება, ყველა ტიპის საბავშვო სახლებისა და დეფექტურ ბავშვთა სკოლების მუშაობის შესწავლა, პრაქტიკულ ღონისძიებათა გამომუშავება და მიღებული გამოცდილების განზოგადება.

გარდა ამისა, კაბინეტი სისტემატურად უწევს კონსულტაციას დასახელებულ სასწავლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა მუშაკებს.

მაღალსამთო ლაშქრობა

ხახმატიდან ბარისახომდე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

25 ნოემბერს დილის 8 საათზე რაზმი დაიძრა სოფ. ხახმატიდან ბარისახოსკენ. მანძილი ამ ორ სოფლის შორის ხევსურთა გადმოცემით 18 კილომეტრს უდრის, თუმცა გზა ისე ცუდია, რომ ვაკეზე 60 კილომეტრის გავლა სჯობს. გზა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით აქ არც კი არის. არის მხოლოდ საცალფეხო ბილიკი, რომელიც ზოგჯერ ისეთ კლდეებზე გადის, რომ დიდი სიფრთხილე გინდა — უფსკრულში არ გადაიჩეხო. ბევრგან ეს ბილიკები გაყინულია და კაცმა რომ გაიაროს, საფეხურების გაკეთებაა საჭირო.

მზემ მოიარა ირგვლივ მიდამო, როცა რაზმის შემადგენლობა მოადგა ასეთ ბილიკებს. დაუსრულებელმა აღმართ-დაღმართმა ძლიერ დაჭანცა მებრძოლები და განსაკუთრებით ტვირთაკიდებული ცხენები. რაზმი დიდი სიფრთხილით მოდიოდა და მშვიდობიანად მოვიდა ბარისახოში.

იყო მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა მდ. ხევსურეთის არაგვში დასველებისა, რაც ამ საშინელ სიცივეში არც ისე სასიამოვნოა.

27 ნოემბერს რაზმი გაუდგება გზას მაღაროსკარისაკენ, ხოლო შემდეგ ჟინვალისაკენ.

მიტინგი კორშის ჭალაში

კორშის ჭალა 3 კილომეტრით თუ იქნება დაშორებული ბარისახოს. აქ შეგროვდა ბარისახოელი, ბახჩილოელი, აჭეხელი, დათვისელი, გველეთელი და ხევსურეთის სხვა მრავალი სოფლის მოსახლეობა. მოვიდნენ ფარხმალიანი ვაჟები და ხევსურულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები. მოვიდნენ დროშებით, რათა შეხვედროდნენ კავკასიონის ქედის გადმომლახველებს — სახელოვან წითელარმიელებს, რომლებმაც გმირულად გადმოიარეს ზამთრობით მიუკარებელი დათვისჯვრის უღელტეხილი.

საუცხოო სანახაობას წარმოადგენდა ამ დღეს ეს ხევი.

ნაშუადღევის 2 საათი იქნებოდა, როცა მთის წვერზე, ბილიკზე გამოჩდნენ წითელარმიელები. მალე მთელი რაზმიც მოვიდა.

„გაუმარჯოს ჩვენს წითელარმიას!", ისმოდა ხევსურთა ძახილი.

„გაუმარჯოს მშრომელ ხევსურეთს, გაუმარჯოს ხალხთა ძმობას, „ურა!", იყო წითელარმიელთა საპასუხო ძახილი.

იქვე შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელიც გახსნა დუშეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **სერგო როსტიაშვილმა**. რაზმის მებრძოლებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს მიესალმნენ ბარისახოს საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. **ი. პავლიაშვილი** და ბარისახოს სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ღვთისია გოგოჭური**. შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ორდენოსანმა, ყოფ. პარტიზანმა და გადასვლის მონაწილემ ამხ. **ხაზირ ორცხანოვმა** და ბარისახოს პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენელმა ამხ. **ი. კუციამ**. ორატორები ლაპარაკობდნენ ხალხთა ძმობაზე, დიადი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე, დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულზე.

— ჩვენი დიდი ბელადის, ჩვენი **სტალინის** სადღეგრძელოდ, ხევსურული „ვაშა!"

ვაშასა და ურას ძახილი ერთმანეთში აირია. იყო ტაშის გრიალი და საყოველთაო აღფრთოვანება. ირგვლივ გოროზი მთები დინჯად გადმოსცქეროდნენ წითელი არმიის წარმომადგენელთა გამარჯვებით გახარებულ ხევსურებს.

საღამოს რაზმი ბარისახოში დაბანაკდა.

დ. ლომთაძე

ბარისახო, 25 ნოემბერი.

„წითელი არმიისათვის დაბრკოლებები არ არსებობენ"

(საუბარი რაზმის უფროს კაპიტან დიაკონოვთან)

— განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ ისეთი შესანიშნავი, ასე ვთქვათ, პრაქტიკული გაკვეთილი მისცა იაპონელ სამურაებს, არავის ეჭვი არ შეეპარება იმაში, თუ რა ძალუძს ჩვენს არმიას.

კავკასიონის ქედზე ზამთარში ჯარის ნაწილის გადასვლა სრული, თანამედროვე სამხედრო საჭურველით, ისტორიაში პირველი მაგალითია. ჩვენ ვიცოდით. რომ მრავალი სიძნელე გადაგველობებოდა, მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ ჩვენს მებრძოლებს სიძნელენი ვერ შეაშინებენ.

მოვდიოდით სერგო ორჯონიკიძის პარტიზანული რაზმის მიერ განვლილი გმირული საბრძოლო გზით. ეს გზა მეტად ძნელი დასაძლევია, მაგრამ იგი დასძლია მაშინ უტეხი ბოლშევიკის ამხანაგ სერგოს ნებისყოფამ და ენერგიამ. გზაში ჩვენს მებრძოლებს ვაცნობდით ამხანაგ სერგოს მარშრუტს, ვუხსნიდით, თუ როგორ იბრძოდნენ ბოლშევიკები და როგორ მიაღწიეს მათ გამარჯვებას. რაზმს თან მოჰყვებიან მწერლები ამხ. ილ. შაპირო და ინგუშთა მწერალი ამხ. ბაზორკინი. ისინი ჰკრეფენ მასალებს ამხ. ორჯონიკიძის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ, შეგროვილია მრავალი საგულისხმო მასალა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რაზმს დიდი სიყვარულით და აღტაცებით ხვდებიან მთის ხალხები. ინგუშეთში, სანჩინოში და ყველგან ჩვენს რაზმელებს ნამდვილ ძმურ შეხვედრას უმართავდნენ ადგილობრივი მკვიდრნი.

განსაკუთრებით მხურვალე შეხვედრას გვიწყობენ ხევსურეთში. ჩვენი მებრძოლები ისე აღფრთოვანებული არიან ამ შეხვედრებით, რომ ყველას ავიწყდება დაღლილობა.

მარშრუტის ნახევარი გავლილია. ახლა ჩვენ კიდევ ერთხელ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არსებობს არავითარი სიძნელე, რომლის დაძლევაც ჩვენს წითელ არმიას გაუჭირდეს.

ჭადრაკი

საქ. პროფსაბჭოს პირველობაზე

თბილისში მიმდინარე შეჯიბრება პროფკავშირის მოჭადრაკეთა შორის უკვე დამთავრდა. პირველობა მოიპოვა სასპორტო საზოგადოება „მშენებლის" მოჭადრაკეთა გუნდმა, რომელმაც 30 შესაძლებელი ქულიდან 24 შეაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა „მელითონის" გუნდი (19,5 ქულა).

მოკლე ხანში „მშენებლების" მოჭადრაკეთა გუნდი როსტოვს გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა პროფკავშირების მოჭადრაკეთა საკავშირო ნახევარფინალურ შეჯიბრებაში.

საშა წულუკიძის ძეგლი ქ. ქუთაისში მისივე სახელობის ბაღში („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

გასწორება

გაზეთ „კომუნისტის" 24 ნოემბრის ნომერში, მესამე გვერდზე, მასალაში „გლეხობას გადაეცა მემამულეთა მიწები" პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: „1905 წლის რევოლუციის წინ მეფის რუსეთში 10,5 მილიონზე მეტ ღარიბ გლეხს ეჭირა 75 მილიონი დესეტინა ფართობი. ერთი მილიონი საშუალო გლეხური მეურნეობა ჰფლობდა 15 მილიონ დესეტინას, 30 ათასი მსხვილი მემამულე ჰფლობდა 70 მილიონ დესეტინას, ხოლო 1,5 მილიონი კულაკური მეურნეობა ჰფლობდა 70 მილიონ დესეტინას".

ამავე გვერდის მასალაში — „ვინ გახდნენ სოციალისტური მეურნეობის ორგანიზატორები" ამხანაგები: ბაგრატ არუთინოვი, დავით ჰიჭინაძე და ვლადიმერ სალაძე მოხსენებული უნდა იყვნენ როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

ხელოვნება

საქფილეგთში

საქფილეგთის თეატრში დაიწყო მოსკოვის ესტრადის მსახიობების გასტროლები.

პროგრამის საუკეთესო ნომერს წარმოადგენს გ. ნემჩინსკის მიერ შესრულებული კინოფელეტონი — „მიწაზე, ცაში და ზღვაზე". ეკრანზე ნაჩვენებია დოკუმენტალური კადრები ფაშისტების ბარბაროსობაზე, ესპანეთსა და ჩინეთში წარმოებული ომების ეპიზოდები. ეს გულშემზარავი მომენტები დაპირისპირებულია საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ბედნიერი და მხიარული ცხოვრებისადმი. კარგად ასრულებენ ვოდევილს „კინორეჟისორსა და მსახიობ ქალზე" ალექსანდროვა და რაუზე. დიდი ოსტატობით ცეკვავს 2 დელანი. მაყურებლები კარგად ხვდებიან ვ. გოძიაშვილის სატირულ ფელეტონებს, ანა ორლოვის მიერ შესრულებულ ბოშურ სიმღერებს და სხვ.

ჭიათურის თეატრში

ჭიათურის თეატრმა 22 ნოემბერს მორიგ პრემიერად დადგა ალ. დიუმას „მისი ცოლი", თარგმანი გრ. ნუცუბიძისა. დადგმა განახორციელა რეჟისორმა გ. გორდაძემ; მხატვარი შ. სიდამონ-ერისთავი, მუსიკა რ. გოგნიაშვილისა.

პიესა ცხოველი ინტერესით მიდის.

5 დეკემბერს თეატრი სდგამს მორიგ პრემიერას — თაქთაქიშვილის „ხალხის რჩეულს". დადგმა რეჟ. პ. ლოლაძისა. მუსიკა რ. გოგნიაშვილისა, მხატვარი შ. ერისთავი.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

27 ნოემბერს:

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — ლექცია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის V თავის მიხედვით: ბოლშევიკების პარტია მუშათა მოძრაობის აღმავლობის წლებში პირველი იმპერიალისტური ომის წინ (1912—1914 წლები). ქართულ ენაზე, ლექტორი ამხ. ზ. სიმონიშვილი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — ლექცია: სოციალიზმის გამარჯვება და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის აყვავება. რუსულ ენაზე. ლექტორი ამხ. მურუსიძე. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — ლექცია: ესპანეთის პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა. ქართულ ენაზე, ლექტორი ამხ. ქორიძე. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

○

27 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში პროპაგანდისტებისა და ინტელიგენციისათვის, რომელიც ინდივიდუალურად მეცადინეობს, შესდგება ამხ. სახაროვის მოხსენება გ. ვ. პლეხანოვის შრომაზე „ისტორიაში პიროვნების როლის საკითხისათვის", ქართულ ენაზე.

ქვანახშირი და მარგანეცი

25 ნოემბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	—	—	—*
ტყვარჩელი	720	807	112
ჭიათურა	5530	4603	83

*) ტყიბულიდან 25 ნოემბრის ცნობები რედაქციას არ მიუღია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი
1938-39 წ. სეზონი

27/XI	28/XI	29/XI
მუდმ. ადგ. ტალ. № 34 აბ. № 5 წარმოდგენა გადადებულია	მუდმ. ადგ. ტალ. № 35 აბ. № 6 დაისი	მუდმ. ადგ. ტალ. № 36 აბესალომ და ეთერი

დასაწყისი 8 საათზე.

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მოსამზადებელი
კურსები ხსნის ახალ ჯგუფს
პირობების გაგება საღ. 6 საათიდან საბჭოს ქ. № 75, მე-29 სკოლა.

21848

გრიბოედოვის სახელობის თეატრი
აცნობებს ყველა ორგანიზაციებს, რომლებსაც მუდმივი ადგილები აქვთ, რომ მე-2 გადასახდელის შეტანის ვადა გადის ა. წ. 1 დეკემბერს.

ორგანიზაციები, რომლებიც არ შემოიტანენ მე-2 გადასახდელს აღნიშნული ვადისათვის, 1 დეკემბრიდან ჰკარგავენ წარმოდგენებზე დასწრების უფლებას.

371

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

27/XI	წარმოდგენა 57 ფოლადაური
28/XI	წარმოდგენა 58 უდანაშაულოდ დამნაშავენი
29/XI	წარმოდგენა 59 სულელი

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

27/XI	კოლმეურნის ქორწინება
28/XI	კოლმეურნის ქორწინება
29/XI	შური

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1938 წ. 23 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, აუდიტორია № 86-ში, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ა. ი. კიკვიძე დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში**".

ოპონენტები: პროფ. ს. ჯანაშია და დოც. ნ. ბერძენიშვილი.

შრომის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე.

1374

საქ. კოოპინკავშირის სისტემაში შემავალი არტელი „შეჯიბრის" დასკვნითი
ბალანსი 1938 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებანი	10877—00
2	ნედლეული და მასალები	5109—78
3	პროდუქცია და საქონელი	74640—57
4	მცირეფასიანი ინვენტარი	4755—07
5	ფულადი საშუალებანი	3514—42
6	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	31885—75
7	ხარჯები ფონდების ანგარიშით	4864—42
8	განყენებული საშუალებანი	7715—09
	ბალანსი	143362—10

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	ფონდები	34773—28
2	მიზნობრივი რეზერვები	3198—03
3	მარეგულირებელი მუხლები	12262—82
4	გრძელვადიანი კრედიტები	22550—00
5	ანგარიშსწორებანი	60512—64
6	დაგროვებანი	10065—33
	ბალანსი	143362—10

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1.	ხარჯები და ზარალი სხვადასხვა	11870—43
	სულ	11870—43
2.	დაგროვებანი	10065—33
	ბალანსი	21935—76

1.	შემოსავალი რეალიზაციით	17458—08
2.	სხვადასხვა შემოსავალი	4477—68
	სულ	21935—76
	ბალანსი	21935—76

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ.

არტელის თავმჯდომარე ათაბეგოვი. მთ. ბუღალტერი ი. კომახიძე. 1680

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—38, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კომს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული Э—217